საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-შაბათი, 15-16 იანვარი. 2021 წ. №9-10 (9128-9129) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

უმადურთა და შურიანთა გასაგონად!..

რასაცა გასცემ, შენია...

გამოცემა ENTREPRENEUR-ი ბიძინა ივანიშვილთან ექსკლუზიურ ინტერვიუს აქვეყნებს, რომლის საგაზეთო ვარიანტს ჩვენი მკითხველის თხოვნით გთავაზობთ

— ბატონო ბიძინა, გასული წლის 30-31 დეკემბერს, თქვენს მიერ საქველმოქმედო ფონდ „ქართუსთვის“ უპრეცედენტო მასშტაბის აქტივების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი განმარტებები არ მოჰყოლია. იქნებ დაგვიზუსტოთ, რასთან გვაქვს საქმე?

— თუ არ ვცდები, სწორედ თქვენი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ვახსენე, რომ საბოლოოდ, ჩემი ქონების არანაკლებ 90%-ს საზოგადო და საქვეყნო საქმეს მოვახმარდი. თუმცა, ამ განცხადებას მაშინ მედიისგან და საზოგადოებისგან სათანადო რეაქცია არ მოჰყოლია. სინამდვილეში, სწორედ იმ პროცესის ლოგიკურ გაგრძელებასთან გვაქვს საქმე, რომლის თაობაზე გადაწყვეტილება ადრე მივიღე, წელიწადნახევრის წინ კი, თქვენთან ინტერვიუშიც განვაცხადე. სხვათა შორის, არა მარტო თქვენთან ინტერვიუში მაქვს ეს პოზიცია გამოხატული, რამდენიმე საერთაშორისო გამოცემასთანაც მაქვს ეს დადასტურებული, მაგრამ ამ განცხადებებს შესატყვისი რეზონანსი არ მოჰყვა და, სიმართლე გითხრათ, არც მიცდია ზედმეტად ამ თემის პედალირება.

— არათუ მაშინ, დღესაც, მედიის და საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ქველმოქმედების ესოდენ მასშტაბური აქტი, რომელიც 30-31 დეკემბერს განხორციელდა, რის გამოც, იგი, თავისი ფორმით, გრანდიოზულ საახალწლო საჩუქარს მაგონებს. უხეში დათვლით, ამ აქტივების ჯამური ღირებულება, მილიარდი დოლარი თუ არა, მილიარდ ლარს ნამდვილად აღემატება. როგორც უკვე გითხარით, მე ეს ტრანზაქციები სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე და მას მერე დაგიკავშირდით. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ოპოზიციურმა მედიამ ერთი პირობა კი სცადა, ნეგატიურ კონტექსტში წარმოეჩინა ერთ-ერთი აქტივის ფონდისთვის გადაცემის ამბავი, მაგრამ ამ თემას მედიაში გაგრძელება აღარ მოჰყოლია. გულწრფელად მიკვირს, რომ არც ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს და არც ნეიტრალურ მედიას ამ თემის აწევა არ უცდიათ. რით ხსნით ამას?

— ეს კითხვა მეც მაქვს და მეც თქვენსავით არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი. ესაა რეალობა და ამ რეალობას, თქვენგან განსხვავებით, გიორგი, მშვიდად ვუსწორებ თვალს. რაც შეეხება ოპოზიციურ მედიას, მათ, რასაკვირველია, საქველმოქმედო ფონდისთვის 30-31 დეკემბერს გადაცემული აქტივების სრული სია აღმოაჩინეს, ისევე, როგორც თქვენ. მასშტაბიც გააცნობიერეს და პოზიტივის პოტენციალიც დაინახეს, მაგრამ ინფორმაცია გაავრცელეს მხოლოდ იმ აქტივის გადაცემაზე, რაც, მათი მოკლე ხედვით, საკითხის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენის და უხეში სპეკულაციის მინიმალურ სივრცეს ტოვებდა. დანარჩენზე კი, თვალი დახუჭეს. აბა, საკუთარ პრინციპებს ხომ არ უღალატებდნენ და ჩემზე კარგს ხომ არ იტყოდნენ (იღიმება)? თუმცა, იპოდრომის თემაზე ხელდამწვრები, მალევე მიხვდნენ, რომ ფულის გათეთრების თემის ყურით მოთრევა, მათ ძალებსაც აღემატებოდა და სწორედ იმიტომ მინავლდა მალევე ის აჟიოტაჟი, რაც თქვენც სწორად შენიშნეთ.

— თქვენ განაცხადეთ, რომ საბოლოოდ ტოვებთ პოლიტიკას და უბრუნდებით ცხოვრების იმ წესს, რომლითაც 2011 წლამდე ცხოვრობდით, ანუ პერიოდს, როდესაც საჯაროობას, რბილად რომ ვთქვათ, არ სწყალობდით. მეტიც, ქართულ პოლიტიკაში მოსვლამდე, საჯარო სივრცეში თქვენი ერთადერთი ინტერვიუ იძებნება, რომელიც 2005 წელს „ვედომოსტს“ მიეცით. ამ ინტერვიუში, რომლის ერთი ეპიზოდი, ქართულ მედიაშიც დაიბეჭდა, საუბრობთ იმაზე, რომ თქვენი ხედვით, ქველმოქმედი ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან — ისინი, ვინც ახმაურებენ საკუთარ ქველმოქმედებას, მატერიალური დივიდენდების მოპოვების მიზნით და ისინი, ვინც ჩუმად სჩადიან სიკეთეს. თუმცა, ჩუმ და ფარულ ქველმოქმედებასაც, საბოლოოდ, სიკეთის გამცემის სასარგებლო მდგომარეობად მიიჩნევთ, რუსთაველის ცნობილი აფორიზმის თანახმად — „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“. თუ სწორად გავიგე, გულისხმობთ იმას, რომ გაწეული ქველმოქმედების საბოლოო ბენეფიციარი მაინც მისი გამცემია, რადგან ქველმოქმედ ადამიანს ეს დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს. რამდენად სწორად გავიგე თქვენი ნათქვამი? დღეს, როცა ამ ინტერვიუდან 15 წელზე მეტი გავიდა, თქვენ კი ქველმოქმედების დიდი ხნის გამოცდილება დაგიგროვდათ, ისევ ასე ფიქრობთ?

რა თქმა უნდა, იგივეს ვფიქრობ და განვლილმა წლებმა და გამოცდილებამ ეს რწმენა გამიმყარა კიდეც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვერც ერთი მატერიალური სიკეთე ახლოს ვერ მოვა იმ სულიერ კმაყოფილებასთან, რასაც ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობა, დაეხმარო შეჭირვებულს, შენს ხალხს, ქვეყანას. აქ საქმე მხოლოდ მატერიალურ რესურსში არ არის და არც უანგაროდ გაცემული სიკეთის მასშტაბი განაპირობებს ადამიანის სულიერ კმაყოფილებას. გარემოებათა გამო, მე მომეცა შესაძლებლობა, ხანგრძლივად და უწყვეტად დავხმარებოდი ადამიანების ფართო წრეს და ზოგადად ქვეყანას, მაგრამ არ ვთვლი, რომ რამით გამორჩეული ან ხარისხით აღმატებულია ის მორალური კმაყოფილება, რაც ამ პროცესმა მე და ჩემს მეუღლეს მოგვანიჭა, ვიდრე თუნდაც იმ ადამიანის განცდა, ვინც საკუთარი დრო დახარჯა, არ დაიზარა და გადასასვლელზე გადაიყვანა ხელჯოხიანი მოხუცი, რის გამოც, შესაძლოა, სადმე დაიგვიანა კიდეც. ასეა ადამიანი მოწყობილი — ნებისმიერი გულწრფელი ნაბიჯი, შეეხიდო და ყოფა შეუმსუბუქო სხვა ადამიანს, უდიდესი პოზიტიური ენერგიით მუხტავს მასვე, რადგან სიკეთის კეთების სურვილი ნებისმიერი ჯანსაღი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

იხ. 2-3, 8 გვ.

„ულონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მოქმედი, მაღალი ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, — სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, — საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“...

ილია ჭავჭავაძე
1888 წ.

მეგობარიც და მტერიც!

ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა ძაღლებს გადაჰყვეს! 6

„ფაიზერის“ ვაქცინის რა დოზის მისაღებადაა მზად ამ დროისთვის საქართველო

11



ევოლუციური თეორიის რევოლუციონერი 4

იოსებ ჟორდანია - მსოფლიო სახელის მქონე ეთნომუსიკოლოგი და ბუნებისმეტყველი

რასაცა გასცემ, შენია...

ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან

(პირველი გვერდიდან)

— თუმცა, რასაც ვაკვირდები, თქვენს მრავალწლიან ქველმოქმედებას წითელი ხაზივით გასდევს ერთი თავისებურება, გნებავთ — ხელწერა. მიუხედავად იმისა, რომ არც ადრე დაგიმალავთ და დღესაც დამიდასტურეთ, რომ დიდი ანგარიშით, ნებისმიერი ქველმოქმედების საბოლოო ბენეფიციარი თვითონ ქველმოქმედია, არასოდეს გიცდიათ, ფონდს ისეთი ხასიათის პროექტები დაეფინანსებინა, როდესაც, უხეშად რომ ვთქვათ, თავად პროექტი ასრულებს ქველმოქმედისთვის დადგმული ძეგლის ფუნქციას. თქვენ, ძირითადად, უკვე არსებულის, წინაპრების ან წინა თაობების მიერ უკვე შექმნილი, მაგრამ განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი კულტურული თუ მატერიალური მემკვიდრეობის მხარდაჭერაზე ზრუნავდით, ეკლესია-მონასტრები იქნებოდა ეს, განათლების თუ კულტურის კერები. ეს მიდგომა, თავმდაბლობის და ერთგვარი ანონიმურობის კომპონენტსაც შეიცავს, როდესაც აბრად უკვე არსებული ბრენდი რჩება და არა იმის სახელი, ვინც მის მხარდაჭერაზე იზრუნა. ვგულისხმობ ოპერას, თეატრებს, უნივერსიტეტებს. ამ მიდგომას „მომგებიანს“ ნამდვილად ვერ უწოდებ, თუ ქველმოქმედების სფეროს ეს ტერმინი საერთოდ მიესადაგება, რადგან მავანმა „პრაგმატიკოსმა“ შეიძლება ჩათვალოს, რომ ასე დახარჯული რესურსი საცერში გაშვებული წყალია. თქვენ ასობით კილომეტრი გზა გაქვთ დაგებული საკუთარი ხარჯებით, რაც ბუნებრივ ცვეთას განიცდის, პერიოდულ განახლებას საჭიროებს და ამის გამო „წარუშლელ კვალს“ არ ტოვებს. ალბათ ამიტომაც მოგიწიათ ზოგი მონაკვეთის ორ-ორჯერ დაგება. იგივე ითქმის საკანალიზაციო სისტემების მოწყობასა და ნაგვის უტილიზაციისთვის შექმნილი ინფრასტრუქტურის შესახებ, საჩხერის რაიონში 11 ათასი ოჯახისთვის გადახურულ სახლებზე... ინტერვიუსთვის მზადებისას სატელევიზიო არქივებში ჩემთვის აქამდე უცნობ რამდენიმე საინტერესო ამბავსაც გადავაწყდი, როდესაც, ჯერ კიდევ შორეულ 90-იან წლებში, თქვენი ბიზნეს-საქმიანობის გარიჟრაჟზე, წყალტუბოს ყოფილი სამხედრო სანატორიუმი, სადაც აფხაზეთის ომგამოვლილ ჯარისკაცებს უნდა ეცხოვრათ, სახელმწიფოს კი მისი მოვლა-პატრონობის რესურსი არ გააჩნდა, საკუთარი სახსრებით გადახურეთ და ასე გადაარჩინეთ განადგურებას. ასევე სახნავ-სათესი აღჭურვილობით სრულად დაკომპლექტებული 400 ტრაქტორი გამოგზავნეთ საქართველოში, რომელთა შესყიდვისთვის ნახევარი ფულის სესხება დაგჭირდათ...

— სიმართლე გითხრათ, ერთადერთი, რაზეც საწყისი ეტაპიდან ვზრუნავდი და რაც მოგვიანებით, პოლიტიკაში ჩემმა მონაწილეობამ შეუძლებელი გახადა, იყო საქველმოქმედო საქმიანობის აფიშირების მაქსიმალური გამორიცხვა. სხვა პრიორიტეტებს რაც შეეხება, დანარჩენი, თავისით, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე მოხდა — რესურსს მივმართავდი მაშინ იმ მიმართულებით, როცა ვთვლიდი, რომ ამ რესურსის გარეშე, გადაუდებლად საჭირო საქმე ან ვერ გაკეთდებოდა, ან დაყოვნების გამო უკვე გაკეთებული განადგურდებოდა. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტიც მას მერე დავიწყეთ, რაც განათლების არსებული კერების რემონტზე ვიზრუნეთ. თქვენ ამ მიდგომას ხელწერა უწოდეთ, კი ბატონო, ერქვას ხელწერა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— 2020 წლის დასაწყისში დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსვლელობისას გამოქვეყნდა Global Citizen-ისა და Forbes-ის ერთობლივი კვლევა მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ფილანთროპების შესახებ. სიის სათავეში არიან უორენ ბაფეტი და ბილ გეითსი მის მეუღლესთან ერთად. ბაფეტის მიერ ბოლო 5 წელიწადში ქველმოქმედებაზე გაცემული სახსრები მისი ქონების 16%-ს, ხოლო გეითსების წყვილის — 9%-ს შეადგენს. სიაში გვხვდებიან Facebook-ის თანადამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი და მისი მეუღლეც, რომლებმაც საკუთარი ქონების 1,2% გაიღეს. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ცოტა დამაბნეველია განცხადება იმის თაობაზე, რომ ქონების არანაკლებ 90%-ს, თქვენ და თქვენი მეუღლე, საბოლოო ჯამში, ქველმოქმედებას და საზოგადო საქმეს მოახმართ. მსოფლიო პრაქტიკა ნამდვილად არ იცნობს ასეთ მასშტაბებს. იქნებ, მეტი სიცხადე შეიტანოთ თქვენი პირადი ქონების საქველმოქმედო მიზნებისკენ მიმართვის უპრეცენდენტო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით?

გასაკვირი და დამაბნეველი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ალბათ მათთვის არის, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო, ჯიუტად არ სურს იმის დაჯერებაც კი, რასაც საკუთარი თვალით ხედავს და რაც, სურვილის შემთხვევაში, ძალიან ადვილი გადასამოწმებელია. გარდა ამისა, მე არასოდეს შემიდარებია ჩემი თავი სხვა ქველმოქმედებისთვის, რომ რაღაც საშუალო სტატისტიკურ თამასაზე გამეკეთებინა სწორება. ასეთი დეტალიზირებული ინფორმაციაც სხვების თაობაზე, ახლა თქვენგან მესმის პირველად. ყველას თავისი გზა აქვს და როგორც ქართველებს გვიყვარს თქმა, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. მე მთელი ცხოვრება ჩემი გზით ვიარე, ჩემი ღირებულებების, პრინციპების და სინდისის კარნახით. ასე იყო ბიზნესში, ასე იყო პოლიტიკაში და ასეა იმ საქმეში, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. მე ჩემი არჩევანი დიდი ხნის წინ გავაკეთე და არჩევანის ერთგული ვრჩები. მიმაჩნია და მიმაჩნდა, რომ იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა გაქვს შესაძლებლობა, კერძო (პირადი) ძალისხმევით მოპოვებული მატერიალური თუ არამატერიალური კაპიტალი, ფულადი რესურსი იქნება ეს თუ საზოგადოების ნდობა და კეთილგანწყობა, საერთო, საზოგადო საქმეს მოახმარო. ამიტომ სიტყვასიტყვით შემიძლია გავიმეორო ის, რაც თქვენთან პირველ ინტერვიუში, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის და კეკლუცობის გარეშე ვთქვი — ყველაზე ღირებული, რაც ქველმოქმედების კუთხით გამიკეთებია, ვფიქრობ, პოლიტიკაში ჩემი მონაწილეობაა, რადგან ეს გადაწყვეტილება, მაშინ, იმ ხელისუფლების პირობებში, არათუ ქონების, არამედ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლის რისკზე გადიოდა. შედეგობრივადაც რომ შევაფასოთ, ვინაიდან პოლიტიკაში ჩემმა მონაწილეობამ ხელი შეუწყო და შესაძლებელი გახადა, ძალაუფლებისგან მშვიდობიანად ჩამოგვეშორებინა ხალხის ჩაგვრაზე დაფუძნებული რეჟიმი და მყარი საფუძველი ჩაგვეყარა ქვეყნის შეუქცევადი, მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისთვის, პოლიტიკაში შემოსვლა, ალბათ, მართლაც ყველაზე ფასეულია, რაც ცხოვრებაში გამიკეთებია.

— მოგეხსენებათ, არსებობს ასეთი სახუმარო გამონათქვამი, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად სხვისი ფულის თვლა უყვართ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ წლების განმავლობაში, ფონდ „ქართუს“, რომლის ერთადერთი შემომწირველი თქვენ და თქვენი ოჯახი ბრძანდებით, საქველმოქმედო პროექტებში უკვე დახარჯული აქვს სამ მილიარდ დოლარზე მეტი, რაც დადასტურებულია მსოფლიო ბანკის მიერ დიდ ოთხეულად აღიარებული აუდიტორული კომპანიებიდან ერთ-ერთის Delloit&Touche-ის ყოველწლიური ანგარიშებით. რამდენიმე დღის წინ, ფონდმა გამოაქვეყნა იმ აქტივების ვრცელი სია, რომლებიც თქვენი გადაწყვეტილებით, კერძო მფლობელობიდან საქველმოქმედო ფონდს გადაეცა შემოწირულობის სახით და, რასაკვირველია, ყველა ეს მატერიალური აქტივი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფონდის საწესდებო მიზნებს უნდა მოხმარდეს და მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი საქველმოქმედო პროექტების განხორციელებაში დაიხარჯება. ამასთან დაკავშირებით მაქვს ორი კითხვა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: შეიძლება ითქვას, რომ საქველმოქმედო ფონდს გადაეცით ყველა მატერიალური აქტივი, რომელსაც სხვადასხვა იურიდიული პირის მეშვეობით ფლობდით და დადებით შემთხვევაში, ამ ტრანზაქციების დასრულების შემდეგ, რა რაოდენობის ფინანსური რესურსი დაგრჩებათ თქვენ და თქვენს ოჯახს?

მესმის ორივე კითხვის მიმართ საზოგადოების ინტერესი და ტაქტიან იუმორსაც გიფასებთ. აქტივებს რაც შეეხება, მე და ჩემმა მეუღლემ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უკლებლივ ყველა მატერიალური აქტივი, რომლებიც საკრედიტო და სხვა სახის ვალდებულებებით არ არის დატვირთული და რომელთა მართვა ფონდს გაუჭირდებოდა, დაუყოვნებლივ გადაგვეცა საქველმოქმედო ფონდისთვის, ერთადერთი პირობით — არც მართვის და არც გასხვისების შემთხვევაში, აქტივებს არ უნდა შეეცვალოთ პროფილი, რადგან მათი დიდი ნაწილი ორდინარული ბიზნეს-პროექტები როდია. ისინი დარგის (ზოგიც რეგიონის) განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებია, რომლებსაც თანმდევი დადებითი პროცესები უნდა მოჰყვეს ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტში, მათ შორის — ტურიზმის დარგში.

— თქვენი ქონების კაპიტალიზაციას დაახლოებით 5,5 მილიარდ დოლარად აფასებდა რამდენიმე საერთაშორისო ბიზნეს მედია, მათ შორის „ფორბსი“ და „ბლუმბერგი“.

— ეს, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ მოძველებული, 10-15 წლის წინანდელი მონაცემებია. „ფორბსთან“, მაგალითად, ათ წელზე მეტია, არ მითანამშრომლია. თავიდან, ჩემი თანხმობით, ისინი სწავლობდნენ კაპიტალის წარმოშობას და მეც არ მქონია პრეტენზია მათ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე, მაგრამ ბოლო წლებში არც კი ვიცი, როგორ და რას ითვლიან, რადგან ინფორმაციას აღარ ვაწვდი. რაც შეეხება Bloomberg-ს, მათთან საერთოდ არ მითანამშრომლია, თუმცა მონაცემებს ეს მედიაც აქვეყნებს.

აქტიური ბიზნეს-საქმიანობა მე პოლიტიკაში შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე დავასრულე, დაახლოებით იმ პერიოდში, როცა პირველი და უკანასკნელი ინტერვიუ მივეცი „ვედომოსტს“. საქმიანი პრესის წარმომადგენელს კარგად მოგეხსენებათ, რომ არცერთ, არც მცირე და არც დიდ ბიზნესში, მოგების ნახვა, თუ სრულფასოვნად არ ხარ ჩართული მის ადმინისტრირებაში, უბრალოდ შეუძლებელია. ბევრი ფიქრობს, რომ დიდ ბიზნესს სხვა მიდგომები სჭირდება, ხოლო მცირეს — სხვა. არადა, მიდგომებში განსხვავება თითქმის არ არსებობს. თუ ყოველდღიურად არ ხარ ჩართული რისკების შეფასებაში, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში, არ აკვირდები ბაზრის სპეციფიკას, ტრენდებს, არ იღებ სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს, ასე, ფაკულტატურად ნაკეთები ბიზნესიდან, მხოლოდ წაგება შეიძლება ნახო. ეს აქსიომაა და ნებისმიერი ბიზნესმენი დამეთანხმება ამაში. სხვაზე მიბარებულ ფულს კი, ხშირ შემთხვევაში, რა ემართება, ამაზე, ჩემი და უმსხვილესი შვეიცარიული, თითქმის უმწიკვლო საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ბანკის სკანდალური ისტორიაც კარგად მეტყველებს. მაგრად უნდა გაგიმართლოს, დანაკარგებს თუ აცდი. შესაბამისად, ჩემი კაპიტალი ამ წლების განმავლობაში თეორიულადაც ვერ გაიზრდებოდა.

დანახარჯს რაც შეეხება, კალკულაცია აქაც მარტივია: 3 მილიარდი დოლარი, როგორც თავად აღნიშნეთ, საჯაროდ დადასტურებული ინფორმაციით, ფონდმა „ქართუმ“ დახარჯა სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტებში. თუმცა, ჩვენ ოჯახს წილად ხვდა კიდევ ერთი საპატიო მისია, რომლის თაობაზე საჯაროდ არასოდეს გვისაუბრია და თქვენი ეს კითხვა რომ არა, შესაძლოა, არც არასდროს გვესაუბრა. თითქმის 30 წელია, ჩვენი ოჯახი ინდივიდუალურად ეხმარება ახლობელი ადამიანების საკმაოდ მრავალრიცხოვან წრეს. მოგეხსენებათ, უმუშევრობის, გამართული სოციალური და სამედიცინო ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებში, მითუმეტეს, უფრო ადრეულ წლებში, რა ტიპის გადაულახავ პრობლემებს აწყდებოდა ეს ხალხი, ჯანმრთელობის პრობლემებიდან დაწყებული, საცხოვრისის თუ ელემენტარული საარსებო პირობებით დამთავრებული. ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო, ეს ხარჯი საქველმოქმედო ფონდის გავლით გაგვეღო, კანონმდებლობა ამას არ კრძალავდა, მაგრამ ჩემი პრინციპული პოზიცია იყო, რომ ფონდს ეს ხარჯი არ შეხებოდა. არ მსურდა, საზოგადო მიზნებისთვის აკუმულირებული თანხების ხარჯვის პროცესში სუბიექტური ფაქტორი გაჩენილიყო, თუნდაც ფონდის დამფუძნებლის და ერთადერთი შემომწირველის მხრიდან. ფონდს აქვს მკაცრად დადგენილი საწესდებო კრიტერიუმები, რომლებსაც სკრუპულოზურად იცავს. ფონდს აქვს რეპუტაცია, რომელიც არცერთ შემთხვევაში არ უნდა შებღალულიყო და გამონაკლისები არ უნდა დაეშვა. ეს დამატებითი თამასა ჩვენ თვითონ დავუწესეთ საკუთარ თავს, ხარჯი ფონდს არ შევახეთ და მას ცალკე ხაზით ვახორციელებდით მთელი ამ წლების განმავლობაში. ამ საკმაოდ მოცულობით ხარჯს თუ დავუმატებთ იმ ფინანსურ რესურსს, რაც პოლიტიკაზე დაიხარჯა, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის გრძელვადიანი განვითარებისთვის განხორციელებულ პროექტებს, რომლებსაც თქვენ „სოციალური მეწარმეობა“ უწოდეთ და რომლებიც ფონდის განკარგულებაში უკვე გადავიდა, ეს ხარჯი, ჯამურად, დაახლოებით, მილიარდ დოლარს შეადგენს. უნდა ჩაით-

ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ!..

ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ!

...ᲐᲮᲐᲠ ᲕᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲐᲮᲡᲚᲔᲜᲔᲑᲓᲘ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲔᲕ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ“...

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔ 2011 ᲬᲔᲚᲘ, ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲝᲑᲐᲡ ᲕᲬᲧᲕᲔᲢ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲮᲕᲐᲚ-ᲖᲔᲒ ᲔᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲜᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ. ᲐᲠᲪ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲐ. ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲠᲔᲙᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲜ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲘ, ᲨᲔᲜ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔ ᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲘᲓᲐ. ᲛᲔ ᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲜᲣ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲡ, ᲜᲣ ᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲛᲔ, ᲜᲣ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐᲕᲗ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲐᲓᲠᲔᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲐᲡᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑ“...

ᲤᲠᲐ�გᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲓᲐᲜ (12.1.2021 Წ.)

ᲕᲐᲚᲝᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲚ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲠᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲙᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ, ᲖᲝ�გ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲯᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

— ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „�პᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲡ“ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲗ? ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘᲪ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ...

— ᲐᲠᲐ �მᲐᲠᲗᲝ „�პᲐᲠᲐᲒᲠᲐᲤᲡ“, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ 127 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ 50-60 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲧᲔᲝᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲐᲛ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲐᲥᲢᲘᲕᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲗᲕᲚᲘᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲛᲯᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲤᲐᲡᲡ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲞᲠᲝᲠᲪᲘᲐ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ „ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ. ᲐᲥᲐᲪ, ᲩᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲤᲐᲡᲡ. ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲜᲓᲠᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲢᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲐᲓ ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ �რᲩᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲜᲐᲮᲔ�ვᲐᲠᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ?

ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 30-31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲡᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲔ�გᲛᲐᲕᲗ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ, ᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ. ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲐᲮᲡᲚᲔᲜᲔᲑᲓᲘ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲔᲕ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ“...

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔ 2011 ᲬᲔᲚᲘ, ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲝᲑᲐᲡ ᲕᲬᲧᲕᲔᲢ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲮᲕᲐᲚ-ᲖᲔᲒ ᲔᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲜᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ. ᲐᲠᲪ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲐ. ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲠᲔᲙᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲜ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲘ, ᲨᲔᲜ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔ ᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲘᲓᲐ. ᲛᲔ ᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲜᲣ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲡ, ᲜᲣ ᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲛᲔ, ᲜᲣ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐᲕᲗ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲐᲓᲠᲔᲪ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲐᲡᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑ“...

ᲤᲠᲐ�გᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲓᲐᲜ (12.1.2021 Წ.)

— 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲗ: „ᲤᲣᲚᲡᲚ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲰᲔᲥᲝᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ. ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲭᲐᲠᲑᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ, ᲠᲐᲪ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲬᲝᲜᲐ“. ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲰᲔᲥᲝᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲔᲗᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ, ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲐᲗᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲝᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲝ�გᲘᲬᲔᲕᲗ?

— ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ �გᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲔᲡ �თᲐᲕᲐᲓ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ — ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲒᲐᲧᲘᲓᲝᲡ, ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐ �გᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ. �თᲣᲛᲪᲐ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲛᲐᲚᲔ �გᲐᲡᲮᲕᲘᲡᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲐᲥᲢᲘᲕᲗᲐᲜ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲤᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ — ᲗᲣ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ. ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ �გᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ. ᲭᲐᲠᲑ ᲤᲣᲚᲖᲔ ᲙᲘ, ᲩᲔᲛᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲭᲐᲠᲑᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲭᲐᲠᲑ ᲬᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲐᲯᲘᲪ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ თᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲘ

ევოლუციური თეორიის რევოლუციონერი

იოსებ ჟორდანია – მსოფლიო სახელის მქონე ეთნომუსიკოლოგი და ბუნებისმეტყველი

ზუსტად ერთი წლის წინათ, 2020 წლის 15 იანვარს გარდაიცვალა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის უდიდესი წარმომადგენელი, ამერიკელი მეცნიერი ბრუნო ნეტლი. მისი მონოგრაფია „ეთნომუსიკოლოგიური შტუდიები“ სახელმძღვანელო წიგნია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ წიგნის მესამე გამოცემა უკვე ქართულადაც ითარგმნა და მალე გამოვა კიდეც.

ბრუნო ნეტლი თავის წიგნში ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთაგან მხოლოდ სამ მეცნიერს ასახელებს და იმოწმებს. მათ შორის ყველაზე ფართოდ განხილული აქვს მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორის იოსებ ჟორდანიას შრომები.

გარდა ამისა, 2015 წელს ბრუნო ნეტლმა გამოაქვეყნა პატარა, სულ რაღაც 6-გვერდიანი სტატია სათაურით – „რომელია ეთნომუსიკოლოგიის უდიდესი აღმოჩენები?“ სტატიაში მიმოხილულია ეთნომუსიკოლოგიის წვლილი მსოფლიო მეცნიერებაში 1885 წლიდან, ანუ ეთნომუსიკოლოგიის დაარსებიდან დღემდე. და ამ თეზისურ სტატიაში ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად პროფესორი ბრუნო ნეტლი ასახელებს პროფესორ იოსებ ჟორდანიას იდეას მრავალხმიანობის წარმოშობის შესახებ ადამიანის ადრეული ევოლუციის შუქზე.

იმის მიუხედავად, რომ უკვე მეოთხედი საუკუნეა, ავსტრალიაში ცხოვრობს, იოსებ ჟორდანია ქართველი მეცნიერია, სახელოვანი ქართველი მეცნიერი, რომელიც აქტიურად არის ჩართული, როგორც მსოფლიო სამეცნიერო პროცესში, ისე საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებაში. თავისი ფართო სამეცნიერო ინტერესების ფონზე იგი, როგორც ავტორიტეტული მკვლევარი და როგორც გამოცდილი ლოტბარი, მრავალი წელია, დაუღალავად ემსახურება ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობას, – სრულიად უნიკალურს მსოფლიო მასშტაბით და ესოდენ საამაყოს ქართველთათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ კიდევ ერთხელ აალაპარაკა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება – ანთროპოლოგები, ისტორიკოსები, ეთნომუსიკოლოგები, ფილოსოფოსები, ბიოლოგები, ფსიქოლოგები, ლინგვისტები, ბუნებისმეტყველები...

აი, რას წერს მის ბოლო წიგნზე ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგი, პროფესორი ელიზაბეთ მარშალ ტომასი:

„იოსებ ჟორდანიას „ადამიანის ისტორია სამეცნიერო აღმოჩენის მიღმა“ გახდება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი. ესაა მრავლისმომცველი, მომნუსხველი და უზადო ნაშრომი, რომლის სათქმელიც იმდენად ახალი და მოულოდნელია, რომ მკითხველთა უმეტესობაში ის გამოიწვევს შოკსა და ცუნამის მსგავს ემოციებს. ეს წიგნი შეცვლის ზოგიერთ ჩვენგანს და ახალ გეზს მისცემს სხვებს. იგი სამუდამოდ დარჩება მკითხველთა მეხსიერებაში“.

„ეს არის თავბრუდამხვევი, შთამაგონებელი ძალის ნაშრომი“, – წერს ამ წიგნის გამო ჯენი უეიდი, ამერიკელი მეცნიერი, ცნობილი ავტორიტეტი ევოლუციურ, ინტეგრალურ და ტრანსპერსონალურ ფსიქოლოგიაში.

იოსებ ჟორდანიას ეს ახალი საეტაპო ნაშრომი „ადამიანის ისტორია სამეცნიერო აღმოჩენის მიღმა“ ინგლისურ ენაზე გამოიცა თბილისში 2020 წელს.

წიგნის გარეკანს ექვსი დიდი მეცნიერის პორტრეტი ამშვენებს კოსმიური ნისლეულის ფონზე. ესენი არიან ის მეცნიერები, ვინც არა მარტო ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებაში, არამედ განსაზღვრეს მისი არაერთი სფეროს მთელი შემდგომი განვითარება. ლეონარდო და ვინჩი, ჩარლზ დარვინი, მარია სკლოდოვსკა-კიური, ალფრედ რასელ უოლესი, თომას ალვა ედისონი, ლაინუს პოლინგი და ალბერტ აინშტაინი.

ეს არ არის მეცნიერთა შემთხვევითი კოჰორტა – ესენი არიან კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეები, რომელთაც რევოლუციური ნაშრომები მიუძღვნეს კაცობრიობის ევოლუციას, რომელთა იდეები და დასკვნები არ ეტევა მეცნიერების ერთი სფეროს ან ერთი დარგის ფარგლებში.

წიგნში განხილულია მეცნიერთა ინტელექტუალური და ემოციური ცხოვრების საკითხები, მომავალ მეცნიერთა დღეს არსებული არასრულფასოვანი განათლების სისტემა, ფორმალური საუნივერსიტეტო მოთხოვნები მეცნიერთა მიმართ, სამეცნიერო აღმოჩენის, პარადიგმატული ცვლილებების, მეცნიერული დაფასება-არდაფასების არსებული მექანიზმები, განხილულია მეცნიერთა განხვავებული ფსიქოლოგიური ტიპები, და მრავალი სხვა საკითხი, დაკავშირებული მეცნიერული ცხოვრების და პროგრესის ადამიანურ, პერსონალურ განზომილებასთან. წიგნი აგრძელებს ტომას კუნის, კარელ პოპერის და პოლ ფეიერაბანდის კვლევით ხაზს მეცნიერების ისტორიის სფეროში.

ამ უსერიოზულესი აკადემიური ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისიც არის, რომ ღრმა მეცნიერულ



მოსაზრებებსა და დასკვნებს ავტორი ისეთი სახალისო, ისეთი საინტერესო ფორმით გვაწვდის, რომ წიგნი სცდება ვიწრო სამეცნიერო ფარგლებს და საერთო-საყოველთაო მოვლენად იქცევა. ალბათ ავტორი თავად გამონახავს დროს ამ ნაშრომის ძართულ ენაზე სათარგმნელად და ამაში ძართველი მკითხველიც დარწმუნდება.

საზოგადოდ, აღმოჩენებითა და ახალი იდეებით სავსე წიგნებში განსაკუთრებული ხაზგასმით არის აღნიშნული საავტორო უფლებების დაცვის აუცილებლობა და ხშირ შემთხვევაში წერილობითი ნებართვის გარეშე იკრძალება კიდეც მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენება რეცენზიებისთვის საჭირო მცირე ამონარიდების გარდა. იოსებ ჟორდანიას წიგნში პირიქით: თუმცა საავტორო უფლება აქაც დაცულია, საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ავტორიც და გამომცემელიც ყოველგვარი წერილობითი ნებართვის გარეშე უფლებას აძლევენ სხვებს, გამოიყენონ წიგნში მოცემული იდეები და მასალები.

ამერიკელი სწავლული, ხელოვნების ევოლუციის ექსპერტი, ავტორი გახმაურებული წიგნებისა „რა საჭიროა ხელოვნება“ და „ჰომო ესთეტიკუსი“ ელენ დისანაიაკე ი. ჟორდანიას წიგნის შეფასებისას სვამს თითქმის რიტორიკულ კითხვას:

„როდის იყო უკანასკნელად, რომ წაიკითხეთ წიგნი, რომლის ფაქტობრივად ყველა გვერდზე ორიგინალური იდეაა მოცემული?“

ორიგინალური იდეებით არის სავსე იოსებ ჟორდანიას სხვა აკადემიური წიგნებიც, რომლებიც მონოგრაფიების სახით გამოიცა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იაპონურ და ჩინურ ენებზე.

ამ წიგნების მხოლოდ ჩამონათვალიც კი თვალსაჩინოდ მეტყველებს იოსებ ჟორდანიას ფართო ინტერესებზე, ერთი მხრივ, და მისი მეცნიერული გამოკვლევების სიღრმესა თუ მასშტაბებზე, მეორე მხრივ:

„ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთაშორისო კონტექსტში“ (1989, რუსულ ენაზე);

„ვინ დასვა პირველი შეკითხვა? პოლიფონიის, აზროვნების, ენისა და მეტყველების გენეზისი“ (2006, ინგლისურ ენაზე);

„რატომ მღერის ხალხი: მუსიკა ადამიანის ევოლუციაში“ (2011, ინგლისურ ენაზე; 2014, ჩინურ ენაზე; 2017, იაპონურ ენაზე);

„ვეფხვები, ლომები და ადამიანები: მეტოქეობის, კონფლიქტის, პატივისცემისა და სიყვარულის ისტორია“ (2014, ინგლისურ ენაზე);

„საგუნდო სიმღერა ადამიანის კულტურასა და ევოლუციაში“ (2015, ინგლისურ ენაზე);

„ჯიმ კორბეტის მონათხრობს მიღმა“: ანალიტიკური მოგზაურობა კორბეტის ადგილებში და პასუხგაუცემელი შეკითხვები“ (პრივრატ გადვის, ალი ახტარის, პრეეტუმ გეერავოს, მანფრედ ვალტლისა და ფერნანდო კევედოს თანაავტორობით, ორ ტომად, 2016, 2020 ინგლისურ ენაზე);

„ხალხური მრავალხმიანობის გენეზისი ადამიანის ევოლუციის შუქზე“ (2016, ქართულ ენაზე);

„ადამიანის ევოლუციის ახალი მოდელი“ (2017, ინგლისურ ენაზე).

იოსებ ჟორდანიას წიგნები შეტანილია საუნივერსიტეტო პროგრამებში როგორც საქართველოსა და ავსტრალიაში, სადაც იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა და ასწავლის, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, რუსეთში, შვედეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, ჩინეთში, იაპონიაში.

იოსებ ჟორდანიას ერთ-ერთი პირველ მონოგრაფიას „ვინ დასვა პირველი შეკითხვა“, რომელსაც ფართო საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა, ასე აფასებს მუსიკის წარმოშობის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი მსოფლიოში, კანადელ-ამერიკელი ნეიროლოგი და ევოლუციური მუსიკოლოგი სტივენ ბრაუნი:

„იოსებ ჟორდანიას წიგნი არის ნამდვილი შედევრი შედარებით მუსიკისმცოდნეობაში, დაწერილი საგნის გასაოცარი ცოდნით. ეს წიგნი გვეხმარება, უფრო ღრმად გავერკვეთ მუსიკის წარმოშობის საკითხებში“.

ცნობილი ესპანელი ევოლუციური ბიოლოგი და ვირუსოლოგი ვლადიმირ ალონსო ამავე წიგნზე წერს:

„ესაა ყველაზე რევოლუციური ევოლუციური თეორია ათწლეულების განმავლობაში“.

2009 წელს მისმა წიგნმა „ვინ დასვა პირველი შეკითხვა“ მიიღო ეთნომუსიკოლოგიაში არსებული უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო – ფუმიო კოიზუმის პრემია, რომლის გადასაცემად იოსებ ჟორდანია სპეციალურად მიიწვიეს ტოკიოში, სადაც ცერემონიულ ლექციასთან ერთად მან წაიკითხა ლექციები იაპონიის რამდენიმე უნივერსიტეტში.

გარდა იაპონიის უნივერსიტეტებისა, იოსებ ჟორდანიას სხვადასხვა დროს წაუკითხავს ლექციები და ჩაუტარებია სემინარები მსოფლიოს ისეთ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში, როგორებიცაა კემბრიჯის უნივერსიტეტი (1994), კალიფორნიის უნივერსიტეტი (1997, 1999, 2008), კოლეჟ-დე-ფრანსი (1999, 2008, 2011), პრინსტონის უნივერსიტეტი (2007), კოლუმბიის უნივერსიტეტი (2007), კეინის უნივერსიტეტი (ნიუ-ჯერსი, 2007), პეკინის კონსერვატორია (2011), ჩენგდუს უნივერსიტეტი (ჩინეთი, 2011), ბრაზილიის ფედერალური უნივერსიტეტი (2013), მანუელ დე ფალიას კონსერვატორია (ბუენოს-აირესი, არგენტინა, 2013), ილინოისის უნივერსიტეტი (2015), ბოლონიის უნივერსიტეტი (2018)...

მონოგრაფიების პარალელურად პროფესორ ი. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მათ შორის უცხო ენებზე – ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, იტალიურად, რუსულად, პორტუგალიურად, ფინურად, ბულგარულად, არაბულად, ჩინურად, იაპონურად...

1989 წლიდან მოყოლებული, დღემდე თვლა არა აქვს მის მიერ წაკითხულ მოხსენებებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა თუ კონგრესებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხუთივე კონტინენტზე.

იოსებ ჟორდანია 1954 წელს დაიბადა თბილისში მუსიკოსებისა და პედაგოგების – მინდია ჟორდანიასა და ნელი იმედაშვილის ოჯახში. თბილისშივე დაამთავრა სკოლა და კონსერვატორია, სადაც გააგრძელა სწავლა, როგორც ასპირანტმა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ქართულ-კახური სუფრული სიმღერების თემაზე. ხოლო სადოქტორო დისერტაცია – „ქართული ხალხური მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთაშორისო კონტექსტში“ დაიცვა კიევში. 1993 წლიდან პროფესორია.

ოთხ ათეულ წელზე მეტია, იოსებ ჟორდანია ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. საქართველოში ყოფნისას მისი პედაგოგიური საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან (1979-1995) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (1998-1995), სადაც იგი ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურების კვლევის ლაბორატორიაში მუსიკოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მისი ყოფილი სტუდენტები და დისერტანტები დღეს ქართული ეთნომუსიკოლოგიის წამყვანი სპეციალისტები არიან. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ პროფესორები თამაზ გაბისონია, ნატალია ზუმბაძე, დავით შუღლიაშვილი...



გარდა ამისა, პროფესორ იოსებ ჟორდანიას ჩატარებული აქვს ხალხური მრავალხმიანობის შესწავლის კლასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახალ ზელანდიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში...

1995 წლიდან მეუღლესთან, ეთნომუსიკოლოგ ნინო ციციშვილთან ერთად ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრალიაში და მუშაობს მელბურნის უნივერსიტეტში, სადაც მისი ხელმძღვანელობით სამი დისერტაცია იქნა დაცული. მელბურნის უნივერსიტეტში იოსებ ჟორდანიამ ჩამოაყალიბა სალექციო და პრაქტიკული კურსი **„მსოფლიო მუსიკის გუნდი: მრავალხმიანობა მსოფლიოს ხალხების ტრადიციულ და თანამედროვე მუსიკაში“,** რომელსაც დღემდე უძღვება. არაერთი უცხოელი, ვინც ქართულ ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერის, მისი მოწაფეა. მისი და მისი მეუღლის ხელმძღვანელობით და ლოტბარობით ავსტრალიაში ჩამოყალიბებული ქართული

სიმღერის ანსამბლები და გუნდები ავსტრალიის გარდა კონცერტებით გამოსულან სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის – საქართველოშიც.

2002 წელს ავსტრალიის მთავრობამ მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ჟორდანია დააჯილდოვა „საუკუნის მედლით“ ავსტრალიის მუსიკალურ ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

იოსებ ჟორდანია იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი თბილისსა და ბორჯომში ჩატარებული ჯერ საკავშირო და შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებისა ხალხური მრავალხმიანობის საკითხებზე (1984, 1986, 1988), აგრეთვე მრავალხმიანობის შესწავლის საერთაშორისო სიმპოზიუმებმისა თბილისში (2002, 2004, 2010, 2012, 2014, 2016, 2018). იგი არის ამ სიმპოზიუმების მასალების ორენოვანი გამოცემის თანარედაქტორი (პროფესორ რუსუდან წურწუმიასთან ერთად). გარდა ამისა 2017 წელს ის იყო თბილისში ჩატარებული ეთნომუსიკოლოგიური ევროპული სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, იოსებ ჟორდანია იყო არაერთი ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი. საქართველოში 1979-2018 წლებში მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალმხრივი საექსპედიციო მუშაობის გარდა, მას აღნუსხული და შესწავლილი აქვს მრავალხმიანობის ტრადიციები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთა შორისაა: კორსიკა (საფრანგეთი), სარდინია და ალპები (იტალია), ტიბეტი (ჩინეთი), კუნძული ჰოკაიდო (იაპონია), კუმაონი (ინდოეთი), ანდები (არგენტინა), მასაილენდი (კენია)...

იოსებ ჟორდანიას მრავალწლიანი სამეცნიერო და ორგანიზატორული საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ძვეყნის ეთნომუსიკოლოგების მიერ საქართველო აღიარებულია ხალხური მრავალხმიანობის კვლევის უცილობელ საერთაშორისო ლიდერად.

პროფესორი ი. ჟორდანია გახლავთ თბილისში 2003 წელს ჩამოყალიბებული ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დაარსების დღიდან აქტიურად არის ჩართული ცენტრის საქმიანობაში, როგორც მისი საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელი.

ამ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო ორგანიზაციამ „აკადემია“ (ვებსაიტი academia.edu), რომელსაც მილიონობით წევრი ჰყავს მთელ მსოფლიოში, დააფუძნა ახალი საერთაშორისო ჟურნალი „წერილები აკადემიიდან“ (Academia Lerrets) და იოსებ ჟორდანია ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად მიიწვიეს.

იოსებ ჟორდანიას სამეცნიერო ინტერესების სათავე და მთავარი ღერძი ქართული ხალხური მრავალხმიანობაა, უფრო ფართოდ კი – ხალხური მრავალხმიანობა ზოგადად მსოფლიოში და მრავალხმიანობის ევოლუციური საწყისები. კვლევა-ძიების პროცესში მისი ინტერესების სფერო გასცდა ეთნომუსიკოლოგიას და მოიცვა ევოლუციური მუსიკოლოგია, მისი გენეზისისა და ევოლუციური ფუნქციის საკითხები. ამავე დროს მისი ინტერესების სფეროში თანდათან შემოვიდა სხვა თემებიც, კერძოდ – მუსიკის ფსიქოლოგია, ენისა და მეტყველების გენეზისი, ენაბლუობისა და დისლექსიის გეოგრაფია, ადამიანის ევოლუცია.

პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დასვა რიგი ახალი საკითხებისა და შემოგვთავაზა უაღრესად საინტერესო, ორიგინალური დასკვნები მათ შესახებ:

მან დაადგინა მრავალხმიანობის გავრცელებისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემთა კორელაცია, რითაც დიდად დაინტერესდნენ აკადემიკოსები მალხაზ აბდუშელიშვილი და ვალერი ალექსეევი – იოსებ ჟორდანიას სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი;

შეცვალა მრავალხმიანობის, როგორც გვიანდელი კულტურული მოვლენის თეორია მრავალხმიანობის, როგორც ბუნებრივი შერჩევის შედეგად მიღებული მოვლენის თეორიით, ანუ დაამკვიდრა მრავალხმიანობის გენეზისის ევოლუციური მოდელი, რაშიც დაიმსახურა ფუმიო კოიზუმის პრემია. ფუმიო კოიზუმის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეთნომუსიკოლოგი, ქართული და აფრიკული მრავალხმიანობის ექსპერტი, ფრანგი მეცნიერი სიმჰა არომი იოსებ ჟორდანიას შესახებ წერს: **„სავსებით ვეთანხმები იოსებ ჟორდანიას იდეას მრავალხმიანობის უძველესი გენეზისისა და მისი თანდათანობით გაქრობის შესახებ. მეც ვფიქრობ, რომ მრავალხმიანობა არ წარმოშობილა ერთხმიანობიდან და მიხარია, რომ ეს აზრი ასე დამაჯერებლად არის გადმოცემული ჟორდანიას წიგნში“.**

გამოთქვა და დაასაბუთა მოსაზრება, რომ ადამიანის აზროვნება და ენა სათავეს იღებს ახალი რევოლუციური ელემენტის – შეკითხვის დასმის უნარის – წარმოშობის მომენტიდან, რადგან დღეს არსებული მონაცემებით თანახმად, შეკითხვის დასმის უნარი მხოლოდ ადამიანებს აქვთ;

ამასთან, გამოთქვა და დაასაბუთა მოსაზრება, რომ ადამიანური ენა გაჩნდა ჯერ კიდევ მუსიკალური კომუნიკაციის ეპოქაში, რისი შედეგი და დასტურია შეკითხვის ინტონაცია, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ენობრივი უნივერსალია;

დაადასტურა მოსაზრება, რომ მეტყველების გაჩენა მოხდა ენის წარმოშობაზე გაცილებით გვიან და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ეს მოხდა სხვადასხვა ადამიანურ პოპულაციაში სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში (ყველაზე ადრე – აღმოსავლეთ აზიაში, ყველაზე გვიან – აფრიკაში);

დაადგინა, რომ ენაბლუობის გავრცელების შემთხვევები საგრძნობლად მეტია მრავალხმიანობის გავრცელების რეგიონებში და გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს მეტყველების გაჩენის განსხვავებულ ქრონოლოგიას სხვადასხვა პოპულაციაში; ამერიკელ მეტყველების პათოლოგთან, პროფესორ შენი რისთან ერთად მან გამოაქვეყნა პირველი სტატია ჩინეთში ენაბლუობის გავრცელებაზე;

პირველმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ დისლექსიისა და ფონოლოგიური სისტემის ათვისების თავისებურებები შესაძლოა უკავშირდებოდეს მეტყველების გაჩენის ქრონოლოგიას სხვადასხვა პოპულაციაში;

გამოთქვა ახალი მოსაზრება, რომ მუსიკის პირველადი ევოლუციური ფუნქცია იყო ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება ქვეცნობიერ დონეზე და კრიტიკულ მომენტებში (როგორიც იყო, მაგალითად, ბრძოლა მტაცებელ ცხოველებთან ან ადამიანთა მტრულ ჯგუფებთან) მათი გადაყვანა ე.წ. „საბრძოლო ტრანსის“ მდგომარეობაში; ეს მოსაზრება წარმოდგენილი იყო ადამიანის ევოლუციისა და ცხოველთა ქცევის ორ კონგრესზე (2016, 2017) დიდ ბრიტანეთსა და პორტუგალიაში და დადასტურებას პოულობს ჯგუფური სიმღერისა და ცეკვის ფართოდ გამოყენებაში ტრადიციულ საზოგადოებებსა და თანამედროვე სამხედრო ნაწილებში;

მის ბოლო წიგნში წამოყენებულია მეცნიერულ კვლევაში ემოციებისა და პიროვნული თვისებების ახალი მოსაზრება, რაც შუქს ფენს იმასაც, თუ რატომ არ იყო სამეცნიერო პროგრესის რამდენიმე უდიდესი წარმომადგენელი (ლეონარდო, დარვინი, უოლესი, მენდელი, ედისონი...) დაკავშირებული პროფესიულ საკვლევ-სამეცნიერო თუ უმაღლესი განათლების ცენტრებთან.

ამ ბოლო წიგნთან ერთად, სასურველია, რაც შეიძლება მალე ითარგმნოს ქართულ ენაზე იოსებ ჟორდანიას სხვა წიგნებიც, რათა მათი ავტორი ისევე ყოველმხრივ და სრულად გაიცნოს ქართულმა სამეცნიერო, და არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებამ, როგორც მას უცხოეთში იცნობენ.

იმედია, ამ საქმეში თავად ავტორიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ეჭვგარეშეა, რომ იოსებ ჟორდანია დიდი ქართველი მეცნიერია, გამორჩეული უცხოეთში მოღვაწე ქართველ სწავლულებს შორის და მას თავისი შრომებით, თავის წიგნებით, თავისი მრავამხრივი სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობით უკვე მრავალი წელია, შორს გააქვს ჩვენი სამშობლოს, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო ტრადიციებისა და პოტენციალის მქონე ქვეყნის სახელი.

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;

რამაზ შენგელია,
აკადემიკოსი;

პაატა ნაცვლიშვილი,
პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი

ნინო ბურჯანაძე, „ტვ პირველში“ რა გინდოდა, ეგ სისულელე გვარამიას მთავარ საკანალიზაციო არხში მაინც „ჩაგერეცხა“!..

სალომე ზურაბიშვილი:

„ნეტავ მქონდეს მეც ჩემი ჭორვილა!“

„ნეტავ მქონდეს მეც ჩემი ჭორვილა!“ – ასე ეხმიანება საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის 11 იანვარს „ტვ პირველის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებას ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით.

ზურაბიშვილი განცხადებას შეურაცხმყოფელად მიიჩნევს და თვლის, რომ მას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

„ჭორვილა თუ... არა ჭორვილა! პოლიტიკური სფეროს სხვადასხვა „ლიდერების“ განცხადებებზე კომენტარების გაკეთება არ მჩვევია, თუმცა ამ შემთხვევაში, არათუ დასაშვებად, არამედ აუცილებლადაც კი მიმაჩნია პასუხის გაცემა ისეთ შეურაცხმყოფელ განცხადებებზე, როგორიც ცოტა ხნის წინ გაკეთდა.თურმე „ფსიქიკურად“ შეშლილი უნდა იყო, რომ ჭორვილაში 15 წელი იცხოვრო. ეს შეურაცხყოფაა არა კონკრეტული ადამიანისა, როგორც ამ პიროვნებას ჰგონია, არამედ, ზოგადად, ჩვენი სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისა. შეურაცხყოფაა იმ ადამიანებისა, რომლებზეც დიდწილად დგას ჩვენი აწმყო და მომავალი.სწორედ სოფლად მცხოვრებლებმა მოგვიტანეს ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი წარმატებები: მეღვინეობის ტრადიციების აღდგენა, ტურიზმი.

სამაგიეროდ, ვიცით, თუ რა მოუტანა საქართველოს ახლო წარსულში სოფლისა და მთის დაცლამ. ვიცით, ჩვენი წინაპრები როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოფელს და ადგილობრივ წესჩვეულებებს ჩვენი იდენტობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ვინც ამას ვერ აფასებს, ის საქართველოს ნიჭსა და ძალასაც ვერარას გაუგებს.

მე პირადად, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, თუ რა დიდი ტკივილი და დანაკლისია, როცა კომუნიზმმა და ემიგრაციამ ჩამოგაშორა სოფელს და მამულს. ნეტავ მქონდეს მეც ჩემი ჭორვილა!“, – დაწერა საქართველოს პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძის პასუხად „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

ცნობისთვის: ნინო ბურჯანაძის თქმით, თუ ადამიანს რამე არ უჭირს, 15 წელი ოჯახს ჭორვილაში არ აცხოვრებდა. ამასთან, როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ივანიშვილის ქონება არის თაღლითურად ნაშოვნი და მისი ერთადერთი დაცვა ჭორვილაში ყოფნა იყო:

„ბევრ ადამიანს ჰქონდა ეს ინფორმაცია, მაგრამ დანარჩენ მოსახლეობას კითხვა არ უნდა გაჩენოდა ეს კაცი მილიარდები რომ აქვს, რატომ ზის 15 წელი ჭორვილაში? ჭორვილიდან ხალხი მორბის. მის ქონებას ემუქრებოდა საფრთხე, მისი ქონება არის ნაშოვნი თაღლითური მეთოდებით, მათ შორის ბევრი ადამიანის გადაგდებით. ზოგი მათგანი რაღაც პერიოდი ციხეში იყო, ზოგი იმ ქვეყანას არის... ის თავს მშვიდად ვერ გრძნობდა, მისი ერთადერთი დაცვა იყო ჭორვილაში ყოფნა.

თქვენ ახლა ნორმალური ფსიქიკის გგონიათ ადამიანი, რომელიც თავისი ნებით, თუ რამე არ უჭირს, 15 წელი ოჯახს ჭორვილაში აცხოვრებს ხუთი მილიარდი რომ აქვს? რა თქმა უნდა, მას არჩევანი რომ ჰქონოდა, ჭორვილაში არ იქნებოდა, მაგრამ წამოვიდა ჭორვილიდან და ახლა მთელი საქართველო გაიხადა დაცვად. მისი ხელისუფლებაში ყოფნა იყო და არის ერთადერთი გარანტია მისი ქონების დაცვის“, – თქვა ნინო ბურჯანაძემ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გადაწვეტილების გასაჯაროების შესახებ.

ნუ, ნუ, ნუ! როგორ გეკადრებათ სააკოვის რეჟიმის „რკინის ლედო“ მსგავსი აბსურდის წამოროშვა! ამას შენგან აწ უკვე გაუბედურებული ვითომ პოლიტიკოსი ანზორიკოც არ იკადრებდა!.. საქართველოს გადამრჩენელ სოფელს, მიწათმოქმედთა ქვეყნის (ჯორჯიას!) ხვალინდელი დღის იმედს რას ემართლები?! ამ ბოლო დროს რავა შალვა ნათელაშვილის ლექსიკით ლაპარაკობ, ქუთაისური ზრდილობა და თავაზიანობა პუტინთან დაგრჩა?..

ბახვა ლეჩხუმელი

სახელმწიფო დროშის სიმბოლოში თავმოყრილია ჩვენი წარსული და ძალა მომავლისა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მოსახლეობას სახელმწიფო დროშის დღე ორბელიანების სასახლიდან მიულოცა, სადაც დროშის აწევის ცერემონია გაიმართა.

„გილოცავთ საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს.

მინდა, ეს დღე მივულოცო ახალგაზრდებს, ბავშვებს, ყველას, ვინც უკვე 30 წელია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშის ქვეშ ცხოვრობს; ვისაც არ ახსოვს ის დრო, როცა ამ ქვეყანაში სხვა ქვეყნის დროშა ფრიალებდა – ეს უდიდესი ბედნიერებაა. საქართველოს სახელმწიფო დროშა ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოა. ეს დღე მინდა, მივულოცო ჩვენს ჯარს, რომელიც სწორედ ამ დროშის ქვეშ იცავს ჩვენს ტერიტორიას, ჩვენს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და საზღვარგარეთ, საერთაშორისო მისიებში ამაყად ატარებს ამ სიწმინდეს.

მინდა, ყველას მოგიწოდოთ ამ დროშის პატივისცემისკენ, რამეთუ, დროშის პატივისცემა ჩვენი თავის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემაა. ამ ერთ სიმბოლოში თავმოყრილია ჩვენი წარსული და ძალა ჩვენი მომავლისა. ამიტომ ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანი დღეა.

მინდა, მოგილოცოთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშის დღე და ასევე, მოგილოცოთ ძველით ახალი წელი“.

ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა, ძაღლებს გადაჰყვეს!

ცოტა რამ ისტორიიდან

ძველი ბერძენი ფილოსოფოს-მორალისტი და ისტორიკოსი პლუტარქე (46-125 წწ) წერდა: „ერთხელ რომში კეისარს ვიღაც მდიდარი უცხოელები დაუნახავს, რომლებიც უბეში ჩასმულ ძაღლისა და მაიმუნის ნაშიერებს ეალერსებოდნენ. გაოცებულს უკითხავს: ნუთუ თქვენში ქალები ბავშვებს არ შობენო? ქვეყნის წინამძღოლის ამ სიტყვებით კეისარმა შეგონებით მიმართა ყველას, ვინც პირუტყვებზე ხარჯავს ჩვენს არსებაში ჩაბუდებულ, ადამიანის მოსაფერებლად განკუთვნილ სიყვარულსა და ალერსს. მართლაც, რაკი ჩვენს სულსა და გულს შემეცნებისა და ჭვრეტის უნარი ბუნებით შეუძენია, განა გონივრული არაა, გავკიცხოთ ის, ვინც ამ უნარს ულირს საგანთა ყურადღებისა და ჭვრეტისთვის იყენებს და უგულებელყოფს მშვენიერსა და სასარგებლოს“...

მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, დედამიწაზე არსებული და მოსაშინაურებლად ვარგისი ცხოველების დაახლოებით 140 ათასი სახეობიდან ადამიანმა ყველაზე ადრე ძაღლი მოიშინაურა, შემდეგ კი ღორი და თხა. სულ ადამიანმა მოიშინაურა მხოლოდ 47 ცხოველი.

ძაღლი კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე გვერდში ედგა ადამიანს, დიდ დახმარებას უწევდა მას ნადირობაში და, როგორც მართებულად აღნიშნავენ, მონადირის საუკეთესო თანამგზავრი გახდა მისი მუდმივი ხეტიალის დროს.



მეფე იუდჰიშტირა
და მისი ძაღლი (ინდოეთი)

უძველეს დროში ძაღლების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის დიდი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე. თავის ნაწარმოებში „ისტორია“ იგი ძირითადად აგვიწერს ბერძენ-სპარსელთა ომების (500-449 წწ.) მსვლელობას. სპარსეთის მეფე ქსერქსემ 5283 ათასი მეომარი მოიყვანა თერმოპილემდე. რა თქმა უნდა, ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის რიცხვი გადაჭარბებულია, რაშიც თვით ჰეროდოტესაც ეპარება ეჭვი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ისტორიკოსის შემდეგი მსჯელობა: „ესაა რიცხვი ქსერქსეს მთელი ლაშქრისა, ხოლო რაც შეეხება ქალებისა (როგორც მზარეულების, ისე ხასების) და საჭურისების ზუსტ რიცხვს, ამას ვერავინ იტყვის, ისევე, როგორც სახედრების, სხვა მებარგული ცხოველებისა და ინდური ძაღლებისა, რომლებიც ლაშქარს მისდევდნენ; ამ რიცხვს ვერავინ იტყვის მათი სიმრავლის გამო...

ინდური ძაღლები სპარსეთის მეფეს თან მიჰყავდა სანადიროდ, რადგან იცოდა, რომ ბერძნებთან ბრძოლები დიდ ხანს გასტანდა. ჰეროდოტეს ინდური მონადირე ძაღლები ხშირად ჰყავს ნახსენები თავის თხზულებაში. მაგალითად, „ასირიის ქვეყნის მმართველი“, რომელსაც ბაბილონის მეფისგან ჰქონდა მიღებული ეს მხარე (თანამდებობა), ინდური ძაღლების ისეთ სიმრავლეს ინახავდა, რომ დაბლობში მდებარე ოთხ დიდ სოფელს, რომელიც სხვაფრივ სრულიად დაუხარკავი იყო, დაწესებული ჰქონდა ძაღლებისთვის საზრდოს მიტანა“. პლუტარქეს გადმოცემით, ანტიკური ხანის დიდი პოლიტიკური მოღვაწის სოლონის მიერ მიღებული კანონის ძალით, თუ ვინმეს ძაღლი უკბენდა, მას უნდა გადასცემოდა ეს ძაღლი ყელზე მიბმული სამწყრთიანი ჯაჭვით. ეს კანონი საკმაოდ კარგი საშუალება იყო მოსახლეობის უშიშროების დასაცავად. ახლა კი ჩვენთან საბელისა და ალიკაპის გარეშე დაატარებენ ძაღლებს ქუჩებში.

ძაღლები და გადამდები სნეულებანი

ძაღლი მეტად საშიში ცხოველია სხვადასხვა მძიმე დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით. ადამიანს ძაღლებისგან გადაეცემა მრავალი დაავადება, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც მეტად საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. განსაკუთრებით უნდა მოვერიდოთ ძაღლის ენას, პირის ღრუს. ძაღლის ენაზე უამრავი ბაქტერია ცხოვრობს, მისი ნერწყვი უაღრესად დაბინძურებულია ბაქტერიებით. ძაღლს, რაც არ უნდა სუფთად გვყავდეს იგი და ავცრათ, არ უნდა ვაკოცოთ, ჩვენი სხეული და განსაკუთრებით სახე არ უნდა ავალოკინოთ. ყველას უნახავს, რომ ძაღლები ცხვირს ერთმანეთს ყველაზე დაბინძურებულ ადგილზე, უკანალზე ადებენ და საერთოდ უკანა ტანს ილოკავენ.

ძაღლის ცხვირი, პირის ღრუ და საერთოდ თავი სავსეა სხვადასხვა მიკრობებითა და ვირუსით. ყველაზე იოლი დაავადება, რომელიც ამ შემთხვევაში ადამიანს აუცილებლად გადაედება, არის კანის ანთებითი ხასიათის დაავადება ლიქენი. იგი რთული ორგანიზმია და შედგება სოკოსა და წყალმცენარისგან. ლიქენი კანის მრავალ დაავადებას იწვევს. მას განსაკუთრებით ახასიათებს ქავილი და კვანძოვანი გამონაყარი.

ერთ-ერთი მწვავე გადამდები სენი, რომლითაც, თუ ადამიანი დაავადდა და დროზე არ იმკურნალა, ვერ გადარჩება, არის ცოფი. იგი ადამიანს ძირითადად ძაღლისგან გადაეცემა. ცოფი ადამიანის და თბილსისხლიან ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე ინფექციური დაავადებაა. მისი გამოვლენის შემთხვევაში ადამიანი უმალვე თუ არ ავცერით, აუცილებლად დაიღუპება. ამიტომ ცოფიანი ძაღლისგან როგორც დაკბენილი, ისე დაკაწრული, დადორბლილი და ალოკილი ადამიანი უმოკლეს ვადაში უნდა აიცრას. დიდი სიფრთხილე გვმართებს ცოფიანი ძაღლის მიმართ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანს საერთოდ არ ჰქონია კონტაქტი ძაღლთან, მაგრამ ცოფით დაავადებულა. მაგალითად, შვილიშვილმა ბებიას სთხოვა ძაღლის მიერ გახეული პალტო გაეკერა. ბებიამ პალტო გაკერა, ტუჩი გაკერილ ადგილზე მიიტანა და ძაფი კბილით გაწყვიტა. ძაღლი ცოფით ყოფილა დაავადებული და მოხუციც დაავადდა!..

მაწანწალა ძაღლები, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად ავადდებიან ცოფით, ვიდრე ოჯახის ძაღლები. ოჯახის ძაღლისგან დაკბენილ თუნდაც ალოკილ ადამიანს, იგივე პროცედურები სჭირდება, რაც მაწანწალა ძაღლისგან დაკბენილს. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის აცრილი ძაღლიც გაცოფებულა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ვაქცინა ძველია, არ იცავენ შენახვის წესებს, აცრიდან ერთ წელზე მეტმა გაიარა და სხვ. როგორც ამბობენ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ოჯახის ძაღლის დაკბენის შემთხვევაშიც, ექიმს აუცილებლად უნდა მივმართოთ. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებაც აუცილებელია!

ადამიანს მხოლოდ ძაღლისგან გადაეცემა მეტად საშიში პარაზიტი ექინოკოკი, რომელიც ძირითადად გვხვდება ძაღლის წვრილ ნაწლავში. უპირატესად იგი ჩლიქოსნებისა და ადამიანის ღვიძლსა და ფილტვებში, აგრეთვე თითქმის ყველა ორგანოსა და ქსოვილში გვხვდება. ექინოკოკი იწვევს ექინოკოკოზს, რომელიც ადამიანის მეტად საშიში დაავადებაა. მისი კვერცხიდან გამოსული ლარვა იჭრება სისხლძარღვებში და მისი მეშვეობით იბუდებს ღვიძლში, ფილტვებში, იშვიათად თავის ტვინში, კუნთებში, ძვლებსა და სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, სადაც ლარვა წარმოქმნის მრავალრიცხოვან ბუშტუკებს, რომლებიც ტოქსიკურ სითხეს შეიცავს. მართალია, ბუშტუკები ძალიან ნელა იზრდება, მაგრამ ზოგჯერ ახალდაბადებული ბავშვის თავის ზომას აღწევს, წარმოქმნის ტოქსიკური სითხის შემცველ მრავალრიცხოვან ბუშტუკებს და იწვევს ორგანოთა ატროფიას, ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლას. ძაღლებს აღენიშნებათ ქოშინი და მშრალი ხველა. ექინოკოკოზით დაავადებული ადამიანის მკურნალობა საკმაოდ რთულია, საჭიროა ქირურგიული ოპერაცია – ექინოკოკის ბუშტუკების სრული ამოკვეთა. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ექინოკოკის ბუშტუკები ჩნდება მიუდგომელ ადგილას, მისი ქირურგიული მოცილება შეუძლებელია და ადამიანი განწირულია დასაღუპავად. პროფილაქტიკის მიზნით, როგორც ენციკლოპედიურ ლიტერატურაშია მითითებული, საჭიროა ძაღლების დეჰელმინთიზაცია, მოხეტიალე ძაღლების განადგურება. პროფესორი, პარაზიტოლოგი ოთარ ზენაიშვილი პირდაპირ აცხადებს: „უნდა მოვერიდოთ ძაღლებს, ყველაზე უფრო საშიშია მაწანწალა ძაღლები, შევწყვიტოთ ახლო ურთიერთობა. მოცილდით ძაღლებს! საერთოდ, დაავადებული ძაღლი არ უნდა ვაცოცხლოთ, ასეთი ძაღლი არის ბომბი“.

ადამიანს ცხოველებიდან, მათ შორის ძაღლიდან, გადაეცემა ლეპტოსპიროზები. დაავადების მძიმე შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ანურია (შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა) და კომა, რაც ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდება. რაც შეეხება ტოქსოპლაზმოზს, რომელიც ადამიანისა და ცხოველების პარაზიტული დაავადებაა, მისი ინფექციის წყაროა ცხოველები და, უპირველეს ყოვლისა, ძაღლები. თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის დროს ორსული ქალის ნაყოფი იღუპება მუცლად ყოფნის პერიოდში ახალშობილი საერთო ინფექციის შედეგად თუ გადარჩა, უზიანდება ნერვული სისტემა, თვალები და სხვა ორგანოები.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინფექციური დაავადებაა ლეიშმანიოზი. მისი გადამტანია ძაღლი. მსოფლიოში ლეიშმანიოზით ინვაზირებულია 14 მილიონი ადამიანი და ყოველწლიურად აღირიცხება მისი მილიონი ახალი შემთხვევა. ყოველწლიურად ლეიშმანიოზით კვდება 40-80 ათასი კაცი. ჩვენში ეს დაავადება უფრო მეტად გავრცელებულია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით თბილისში, კახეთსა და ქვემო ქართლში. 1995-2010 წლებში საქართველოში გამოვლინდა ვისცერული ლეიშმანიოზის 1919 შემთხვევა. ლეიშმანიოზით დაღუპვის შემთხვევებიც იყო, თუმცა ძირითადად მაშინ, როცა მკურნალობა დროზე არ დაიწყეს. ბოლო დროს ლეიშმანიოზით დაავადების შემთხვევები შემცირდა.

ძაღლიდან სხვადასხვა დაავადების ადამიანზე გადაცემა მეტად საშიშია არა მარტო კბენის, დადორბლვისა და ალოკვის შემთხვევაში, არამედ მისი მოსაქმებულის (ჩმორის) ქუჩაში დატოვებით, რომ არაფერი ვთქვათ ესთეტიკურ მხარეზე. დღეს თბილისის ქუჩების ტროტუარებსა და ეზოებში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ძაღლების განავალი ჩანს, ხოლო თუ სადმე პატარა სკვერი არსებობს, ძაღლების მოსაქმებულითაა სავსე. მაწანწალა ძაღლები ამ პრობლემას კიდევ უფრო ართულებენ. მოკლედ, დედაქალაქი ტუალეტადაა გადაქცეული!.. ხშირად ძაღლები ფეხს ისვრიან მოსაქმებულში, სახლში შესვლისას უმეტესწილად მათ ფეხებს არ ბანენ და ასე დაბინძურებულს საწოლშიც კი იწვენენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად თბილისში დაახლოებით 350 ათასი ოჯახია და ათი ოჯახიდან ერთ ოჯახს ორი თუ არა, ერთი ძაღლი მაინც ჰყავს, მაშინ თბილისში 35 ათასი ოჯახის ძაღლია. მაწანწალა ძაღლების რაოდენობა კიდევ 30 ათასზე მეტია. ერთი ძაღლი საშუალოდ 150 გრამს მაინც „მოისაქმებს“ და დღეში ეს მასა შეადგენს თითქმის 10 ტონას, ხოლო წელიწადში 3650 ტონას.

ამ ბინძური მასის ნაწილი, რა თქმა უნდა, ხვდება ნაგვის ურნებში. სამწუხაროდ, უღარიბესი მოსახლეობის ნაწილი მათში იქექება საკვებისა და მათთვის გამოსადეგი სხვადასხვა ნივთის მოსაპოვებლად. ეს კიდევ დამატებითი წყაროა ინფექციური დაავადებების გავრცელებისთვის. ამ მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ ქუჩაში ისე ვერ გაგვივლია, რომ ანაზდეულად ძაღლების ახალ ან წინა დღეების მოსაქმებულს არ დავადგათ ფეხი და ინფექცია სახლში არ შევიტანოთ. სამწუხაროდ, ჩვენ, და საერთოდ ქრისტიანულ მოსახლეობას, სახლში შესვლის წინ ფეხსაცმელის გამოცვლის კულტურა არა გვაქვს. ასე რომ, გადამდებ სნეულებათა გავრცელების დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რაც ხშირად რეალობად გვექცევა...

მეტი ხომ არ მოგვდის?!

„იმედის“ ტელეარხზე 2020 წლის 1 ივლისს გადაცემა „პრაიმ შოუ“ მთლიანად ძაღლებს მიუძღვნეს. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. ამჟამად საქართველოში თითქმის ყველაზე მტკივნეული ეროვნული პრობლემა უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა, მაგრამ არც ერთ ტელეარხს, „ობიექტივის“ გარდა, ამ პრობლემაზე სიტყვაც კი არ დასცდენია. „პრაიმ შოუს“ მენეჯერმა ნოე სულაბერიძემ გადაცემის დასაწყისში აღნიშნა, რომ „თუ ადამიანს უყვარს შინაური ცხოველი, ასეთი ადამიანი კეთილშობილია“. საინტერესოა, როგორ ზომავს, ნოე სულაბერიძე ადამიანის კეთილშობილებას ძაღლის სიყვარულით. ვისაც, ვთქვათ, ძაღლი არ უყვარს, ასეთი ადამიანი არ შეიძლება იყოს კეთილშობილი?

ან ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ თითო-ოროლა ადამიანს ჰყავდა ოჯახში ძაღლი და მაშინ არაკეთილშობილები ვიყავით და ახლა, როდესაც თითქმის ყოველ მეათე ოჯახში მაინც ჰყავთ ძაღლი, თანდათანობით კეთილშობილები ვხდებით? არა მგონია. ითქვა აგრეთვე, რომ „ბევრი ძაღლი ადამიანს ჯობია"!.. „ძაღლი ჩემთვის ოჯახის წევრია"!.. „ძაღლი ჩემს საწოლში წევს და ჩემთან ერთად სძინავს" და სხვ.

ეს ხომ ღმერთის გმობაა? ახალ აღთქმაში ძაღლები გაიგივებულია მეძავებთან და კაცის მკვლელებთან. გიფიქრიათ ამაზე?

ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული ძაღლებისა და საერთოდ ცხოველებისადმი, გასაგებია, მაგრამ გადამეტებულმა სიყვარულმა, რაც ახალგაზრდებს ახასიათებთ, შეიძლება ცუდი რამ მოიტანოს. ახლახან 13 წლის გოგონას „საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციამ" სამაგალითო საქციელისთვის უსაფრთხო გარემოს ოფიცრის წოდება მიანიჭა. გოგონას სამი წელია მშობლებმა ძაღლი უყიდეს და ძაღლს თავს ევლება. როდესაც მას ასეირნებს, ყოველთვის თან პარკი დააქვს, სადაც ოთხფეხა მეგობრის ჩმორს ათავსებს. უფრო მეტიც, იგი ქუჩებსა და სკვერებს სხვისი და მაწანწალა ძაღლების განავლისგანაც ასუფთავებს, ამ სიბინძურეს კი თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდება კაცი. ხშირად ძაღლების განავლით ლიფტის შესასვლელი და ლიფტიც მოსვრილია. არა მგონია ამ გოგონას წახალისება მის მომავალს კარგად წაადგეს და თითქმის მთელი თავისუფალი დრო, იმის მაგივრად, რომ თავის სწავლა-განათლებას მოახმაროს, ძაღლის განავლის წმენდას მოანდომოს. საერთოდ, იმ პრობლემებზე, რომლებიც ძაღლებმა საზოგადოებას შეუქმნეს, პრესაში მრავალი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა (ამირან გამყრელიძის, პაატა იმნაძის, გიორგი საბანაძის, მეგი საჯაიას, ბადრი ბაზაევის, ოთარ ზენაიშვილის, ბაკურ სვანიძის და სხვ.), მაგრამ განსაკუთრებით ძაღლების პატრონები, ისე არიან შეპყ-

რობილნი ავადმყოფური დამოკიდებულებით თავიანთი ოთხფეხა ცხოველების მიმართ, რომ მათში გამოთქმულ რეკომენდაციებს აინუნშიაც არ აგდებენ.

„პრაიმშოუელებს", როგორც ჩანს, ძაღლები ზომაზე მეტად უყვართ, და კვირა არ გავა ისე, რომ ძაღლებს სატელევიზიო დრო არ დაუთმონ. ახლა, ასეთი სიუჟეტიც აჩვენეს: არის ადგილი, სადაც მოსახლეობას ბებერი, დაუძლურებული ძაღლები მიჰყავს და ბედის ანაბარა ტოვებს. ამ ძაღლების ნაწილი უკვე არაადეკვატურია, ხოლო ნაწილი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ცხოვრების ახალ პირობებს ალღო ვერ აუღეს. ერთ-ერთი ახალგარდა გოგონა მიტოვებულ ძაღლებს ყოველდღიურად სტუმრობს და საკვები და წამლები მიაქვს. მის მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ გოგონა ბეწვზე გადაურჩა გაველურებული ძაღლების დაკბენას. დაუძლურებულ, ჭუჭყიან და გატყავებულ, გაქუცულ ძაღლებს, რაც კადრში ვიზუალურად აშკარად ჩანს, ხელში იყვანს, ეფერება და კოცნის. ქეცის დაავადება ადამიანს ადვილად გადაედება და, როგორც აღნიშნავენ, ამ დროს ადამიანს ეწყება საშინელი ქავილი, რომლის დროსაც შეიძლება კაცმა თავი მოიკლას. ამ დაავადების მკურნალობა მეტად ხანგრძლივი პროცესია, სამკურნალო პრეპარატები კი მეტად უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე. ტელევიზიის ეკრანიდან გოგონამ საზოგადოებას მიმართა ფინანსური დახმარებისთვის, ხოლო „პრაიმ შოუს" ჟურნალისტთაგან ვერცერთმა ვერ მოისაზრა, რომ გოგონა დაერიგებინათ: არ შეიძლება დაუბანელი, ჭუჭყიანი და გაქუცული ძაღლების ხელში აყვანა და მოალერსება. იქნებ სჯობდეს, უპატრონო ბავშვებსა და მოხუცებსაც უფრო მეტად მივხედოთ და მათაც ვაგრძნობინოთ ადამიანური სითბო, რასაც ერთჯერადად პრაიმშოუელებიც აკეთებენ და ეს ძალიან კარგია, მაგრამ ერთობ ცოტაა!

თუ ასე გავაგრძელებთ, მალე ალბათ მთელი საქართველო ძაღლების მომვლელებად გადავიქცევით, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ძაღლების გამრავლებისთვის ზრუნვაც დაიწყეს და მათი ლეკვების გაჩუქების აქციებსაც აწყობენ.

რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ერმა თავი უნდა გადაირჩინოს, გამრავლდეს, გაჯანსაღდეს, და არა ძაღლებს გადაჰყვეს!..

ამჟამად დასავლეთის მდიდარ ქვეყნებში აშენებენ კეთილმოწყობილ სასტუმროებს ძაღლების, საერთოდ შინაური ცხოველებისათვის, სადაც პატრონს შეუძლია მათი დატოვება, თუკი მას რამდენიმე დღით ან თუნდაც რამდენიმე საათით საქმე გამოუჩნდა და დამტოვებელი არავინ ჰყავს... ამავე დროს აშენებენ შესანიშნავად მოწყობილ საავადმყოფოებს შინაური ცხოველების, ძირითადად ძაღლებისათვის, რომელთაც ადამიანებისთვის განკუთვნილი საავადმყოფოებისგან ვერ გამოარჩევს კაცი. ზოგიერთი მილიონერი ხომ უზარმაზარ თანხას უტოვებს ანდერძით ძაღლებს, კატებს, საერთოდ, შინაურ ცხოველებს. მაგალითად, ერთმა მილიონერმა 10 მილიონი დოლარიც კი დაუტოვა ანდერძით ძაღლს, რაც ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის ქცევის ნორმებში ვერა და ვერ თავსდება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ირგვლივ ამდენი ღარიბი და უსახლკარო ადამიანია, როდესაც მძიმე ავადმყოფებს სახსარი არ გააჩნიათ მკურნალობისთვის. ამავე დროს, მაღალი დონის რესტორნებში ძაღლებს კვებავენ ძვირადღირებული კერძებით და ამის შესახებ შესაბამისი ფოტოებიც არაერთხელ გვინახავს...

დედაქალაქი ტუალეტადაა გადაქცეული!.. ხშირად ძაღლები ფეხს ისვრიან მოსაქმებულში, სახლში შესვლისას უმეტესწილად მათ ფეხებს არ ბანენ და ასე დაბინძურებულს საწოლშიც კი იწვენენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად თბილისში დაახლოებით 350 ათასი ოჯახია და ათი ოჯახიდან ერთ ოჯახს ორი თუ არა, ერთი ძაღლი მაინც ჰყავს, მაშინ თბილისში 35 ათასი ოჯახის ძაღლია. მაწანწალა ძაღლების რაოდენობა კიდევ 30 ათასზე მეტია. ერთი ძაღლი საშუალოდ 150 გრამს მაინც „მოისაქმებს" და დღეში ეს მასა შეადგენს თითქმის 10 ტონას, ხოლო წელიწადში 3650 ტონას.

ხშირად, განსაკუთრებით „იმედის" სატელევიზიო არხზე სტუმრებს თავიანთ ძაღლებთან ერთად იწვევენ. ახლახან საკმაოდ ცნობილ მომღერალთა ოჯახიდან, ახალგაზრდა მომღერალი ქალბატონი ძაღლთან ერთად ესტუმრა სტუდიას და თავმომწონედ განაცხადა: ჩემი ძაღლი თვალებზე შეაწუხა ნაოჭებმა და ახლახან სახეზე პლასტიკური ოპერაცია გავუკეთეთ. ამ კორონავირუსის დროს, როდესაც ბევრ ჩვენ მოქალაქეს, კვების პრობლემაც კი გაუჩნდა, ყოველივე ეს საზოგადოების დაცინვად უნდა ჩაითვალოს!



ანზორ თოთაძე,
(გაგრძელება მორიგ ნომერში)

საფრანგეთი საქართველოს ერთ-ერთ პრივილეგირებულ პარტნიორად მიიჩნევს

საფრანგეთი საქართველოს ერთ-ერთ პრივილეგირებულ პარტნიორად მიიჩნევს და მობილიზებულები ვართ, დავეხმაროთ მას ევროკავშირთან და ნატოსთან კავშირების გაძლიერებაში, — ამის შესახებ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟან კასტექსი გიორგი გახარიასადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, სადაც მთავრობის მეთაურს თანამდებობაზე ხელახალ დანიშვნას ულოცავს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მისალოცწერილში აღნიშნულია, რომ საფრანგეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარიას ულოცავს

ბულგარეთის **რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბოიკო ბორისოვი გიორგი გახარიას საქართველოს მთავრობის მეთაურად ხელახალ დანიშვნას ულოცავს.**

მისალოცწერილში ბოიკო ბორისოვი აღნიშნავს, რომ ბულგარეთი აგრძელებს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივის აქტიურ მხარდაჭერას.

„თქვენო აღმატებულებავ! გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელახლა დანიშვნასთან დაკავშირებით. ვიყენებ ამ სასიამოვნო შესაძლებლობას და ხაზგასმით აღვნიშნავ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების დადებით ხასიათს, რომელიც მეგობრობას, ისტორიულ, კულტურულ და სულიერ სიახლოვეს ეფუძნება".

ირაკლი ღარიბაშვილი: მთელი შეიარაღებული ძალების მოდერნიზება ნატოს სტანდარტებით მოხდება

საქართველოს **თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია POSTV ეთერში საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების გეგმებზე ისაუბრა.** მან ყურადღება თავდაცვის ძალების განვითარების ათწლიან გეგმაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს თანამედროვე შეიარაღების სისტემების შესყიდვა იგეგმება.

„მიუხედავად პანდემიისა, ჯარისთვის გასული წელი იყო ძალიან წარმატებული. წელს გვაქვს კიდევ უფრო ამბიციური და შორს მიმავალი გეგმები, როგორიც არის თანამედროვე შეიარაღების სისტემების შესყიდვა, დრონების, არტილერიის მიმართულება და ა.შ. ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ათწლიანი განვითარების გეგმა, რომელიც ახლა შევიმუშავეთ. ამ მიმართულებების გაძლიერებაზე ვიწყებთ მუშაობას, ვგეგმავთ მთელი შეიარაღებული ძალების სისტემების სრულ მოდერნიზებას ნატოს სტანდარტებით", — განაცხადა მინისტრმა.

მადლობა!..

ბატონო ბიძინა!

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი ენის სიმდიდრე გამოიხატება არა მარტო ძირითადი ლექსიკური ფონდით, არამედ ცალკეულ სიტყვებში ღრმა აზრობრივი, ფილოსოფიური მუხტის არსებობით. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდებული ქართული სიტყვა **მადლობა,** მაგრამ ეს სიტყვაც კი მცირედია იმ განუზომელ ქველმოქმედებასთან, რომელსაც წლების განმავლობაში ეწევით. თუმცა სიკეთის მიმართ მადლობის თქმა ბევრს ერთობ უჭირს... სიავითა აღსავსენი, უმადურები. უმადურობა სასჯელია წყევლად ნათქვამი: ღმერთმა გაგხადოს უმადურიო.

ბატონო ბიძინა, პატიებას გთხოვთ უმადურთა გამო. ღვთის მადლი არ მოკლებოდეს თქვენს დიდებულ ოჯახს.

P. S. გოეთე ბრძანებდა, დიდსულოვნებაც საყვედურს იმსახურებსო...

ლონდა მდივანი

წარმომადგენელთა პალატამ დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა. იმპიჩმენტის რეზოლუციას მხარი 232-მა კონგრესმენმა დაუჭირა, ხოლო 197 — წინააღმდეგ წავიდა.

11 იანვარს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის რეზოლუციის ტექსტი გამოაქვეყნა. იმპიჩმენტის რეზოლუციის ტექსტი ერთი მუხლისგან შედგება, რომელშიც დონალდ ტრამპს ბრალი ამბოხის წაქეზებაში ედება. „დემოკრატი" კონგრესმენები აცხადებენ, რომ დონალდ ტრამპმა თავისი საქციელით აშშ-ის კონგრესთან არეულობა წააქეზა და ცხადყო, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, დემოკრატიასა და კონსტიტუციისთვის საფრთხეს წარმოადგენს, თუ მას თანამდებობაზე დარჩენის საშუალება მიეცემა. თავის მხრივ, აშშ-ის სენატი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის საკითხს მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე არ განიხილავს. სენატში „რესპუბლიკელების" ლიდერმა უარი განაცხადა 19 დეკემბრამდე სენატის მოწვევაზე. ეს კი ნიშნავს, რომ სენატი აღნიშნულ საკითხს ჯო ბაიდენის ინაუგურაციის შემდეგ განიხილავს. დონალდ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელსაც იმპიჩმენტი ორჯერ გამოუცხადეს.

ᲠᲐᲡᲐᲪᲐ ᲒᲐᲡᲪᲔᲛ, ᲨᲔᲜᲘᲐ...

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲐ. ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘᲐ?

— მინდა გითხრათ, რომ გეთანხმებით და ვაღიარებ, რომ მომგებიანობის კრიტერიუმით კმაყოფილი არ ვარ. რა თქმა უნდა, სჯობდა, ბიზნესს მოგების უფრო მაღალი მაჩვენებელი ეჩვენებინა. ბანკის შემთხვევაში, კარგი იქნებოდა, მეტი ინვესტიცია მოგვეზიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით, რაც, რა თქმა უნდა, არ მაძლევს კმაყოფილების საფუძველს. როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება ვერ დავუთმე, განსაკუთრებით პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ.

თუმცა, ყურადღების დაკლებასთან ერთად, ჩემი ბიზნესკომპანიების ნაკლებ ეფექტიანობას ისიც განაპირობებდა, რომ არასოდეს მიცდია, ჩემი ჭარბი ფინანსური რესურსით ქართული ბიზნესისთვის რაიმე ტიპის დაბრკოლება შემექმნა, პირიქით — ყოველთვის მინდოდა, ბაზარს დავხმარებოდი და მაქსიმალურად გამეჯანსაღებინა ეკონომიკური გარემო. ამიტომაც, გათვლა მხოლოდ ბიზნესის რენტაბელობაზე არასოდეს მქონია... გულწრფელი სურვილი მქონდა, ქვეყანას დავხმარებოდი და ბიზნესაქმიანობა არა მისი მომგებიანობით შემერჩია, არამედ იმით, თუ რა ჭირდებოდა ქვეყანას.

**ᲑᲝᲚᲝᲗᲘᲫᲛᲐ: ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ „ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲝᲓ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲛᲘᲡᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲠ ᲛᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲐᲜᲗᲠᲝᲠᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲢᲠᲘᲰᲘ ᲐᲙᲚᲘᲐ: ᲗᲣ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ — ᲙᲔᲠᲫᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲐᲜ�გᲐᲠᲝ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠᲐᲛᲮᲚᲝᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡ 95% �გᲐᲘᲦᲝ ᲣᲐᲜ�გᲐᲠᲝᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘ, ᲐᲜᲣ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ, ᲯᲔᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲪᲘᲓᲘᲕᲘᲡ ᲐᲠ-ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲐᲡ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ, ᲐᲛ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲣᲐᲜ�გᲐᲠᲝᲓ ᲗᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲠᲐᲪ, ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲔᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲜ 2011 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ �გᲐᲓᲐᲓᲒᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲒᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲒᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲓᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ-ᲡᲣᲤᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲘᲗ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲘᲡᲐ, ᲣᲐᲜ�გᲐᲠᲝᲓ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔᲪ ᲔᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲚᲛᲝᲮᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲨᲘᲜ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ,
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელს, უდიდეს ქველმოქმედსა და მეცენატს ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვულოცავ საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ტიტულს. მე, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, მეამაყება ჩვენი თანამემამულის ესოდენ დიდი დაფასება საერთაშორისო სარბიელზე. მისი ქველმოქმედება, უშურველი დახმარება ხალხისადმი ყველა ქართველისთვის ცნობილია, მაგრამ ორმაგად დასაფასებელი და საამაყოა, როდესაც ამას ევროპის ერთ-ერთი უძველესი და მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოს ლიდერი აფასებს. როგორც ფრანგი მეცენატი ფრანსუა პინო ბრძანებს, ეს წოდება, რომელიც ქართველ მეცენატს მიენიჭა, გვირგვინია ბატონ ბიძინა ივანიშვილის კარიერაში და დემოკრატიისადმი მისი სამოქალაქო ერთგულებისა. ამის ნათელი მაგალითია ბატონ ბიძინას გადაწყვეტილება, წასულიყო პოლიტიკიდან, დაეტოვებინა მის მიერვე შექმნილი უძლიერესი პარტიის რიგები, მაშინ, როდესაც საყოველთაო არჩევნებში მესამედ გაიმარჯვა, და შემდგომ მთელი თავისი ქონების 95 პროცენტი ქართველი ხალხის სამსახურში გადაერიცხა. ეს უნიკალური მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამ დიდ ჯილდოს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და წინსვლას ცხოვრებაში.

პატივისცემით
ᲝᲗᲘᲐ ᲡᲐᲠᲩᲘᲛᲔᲚᲘᲐ,
პოლიციის პოლკოვნიკი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე, პენსიონერი.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲬᲐᲛᲗ ᲣᲐᲜ�გᲐᲠᲝ ᲟᲔᲡᲢᲘᲡᲐ?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲣᲙᲕᲔ კარგა ხანია, რაც დიდი იდეოლოგიების კვდომის ეპოქა დადგა. როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში საზოგადოებრივი ენთუზიაზმი ბოლომდე დაიწრიტა. გადმოცემები, ლეგენდები, მითები თუ თქმულებები კაცობრიობის ინფანტილიზმის გამოხატულებად ჩაითვალა, ხოლო უანგარობა და ქველმოქმედება — ინტელექტუალური ალგორითმის ყველაზე უფრო ნატიფ და ეშმაკურ გამოვლინებად. ჩვენ დიდი ხანია, აღარ გვწამს უანგარო ჟესტისა, მით უმეტს პოლიტიკაში. ამიტომაც, ლამის პოტენციურად არ გვჯერა იმისა, რასაც პოლიტიკური ქველმოქმედება შეიძლება ვუწოდოთ და რომელიც, არსებითად, განსხვავდება ჩვეულებრივი ქველმოქმედებისა თუ ფილანთროპიისაგან.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ?

ბიძინა ივანიშვილი ორჯერ მოვიდა პოლიტიკაში — ჯერ მოგვაცილა ტრაგიკომიკური ტირანია და მაშინვე წავიდა, ხოლო მეორედ — დაბრუნდა, რათა შეექმნა პოლიტიკურ სისტემა. ამის შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ხალხმა შეიძინა საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება და რომ უკვე საჭირო აღარ იყო ის ჭარბი პოლიტიკური ნდობა, რომლითაც ქართველმა ხალხმა ის აღჭურვა, ბიძინა ივანიშვილი მეორედ ჩამოცილდა პოლიტიკურ ველს. აი, სწორედ ესაა პოლიტიკური ქველმოქმედება, როგორც უანგარო პოლიტიკური ჟესტი.

თუკი მეცენატობა-ქველმოქმედება ესაა რეალური კაპიტალის ნაციონალურ პროექტებში დაბანდება ყოველგვარი პირადი ინტერესისა და პირადი მოგების გარეშე, პოლიტიკური ქველმოქმედება ესაა სიმბოლური კაპიტალის - ნდობის ხალხისთვის უკან დაბრუნება, როცა ამ ნდობის მატარებელი ადამიანი უარს ამბობს ყოველგვარ ძალაუფლებაზე.

ბიძინა ივანიშვილმა, ერთი მხრივ, თავისი ქონების უდიდესი ნაწილი ხალხის საკუთრებად აქცია, ხოლო, მეორე მხრივ, ის უდიდესი პოლიტიკური ნდობა, რომელიც მას ხალხმა მიანიჭა, ასევე, უკან დაუბრუნა საკუთარ ხალხს. ძველი რომაელი პოლიტიკოსისა არ იყოს, მან უარი თქვა ყოველგვარ ძალაუფლებაზე და მისი მშვიდობიანი ტრანზიცია მოახდინა: მან ძალაუფლება ერთ რომელიმე (თუნდაც საკუთარ) პარტიას კი არა, მთელ ხალხს გადასცა. აი, სწორედ ესაა პოლიტიკური ქველმოქმედება.

წინა ეპოქაში, რომელსაც ტრადიციული თუ კლასიკური კულტურის პერიოდსაც უწოდებენ და რომელიც კარგა ხანია, რაც დასრულდა, არსებობდა გადმოცემები ძლიერთა ამა ქვეყნისათა შესახებ, რომლებსაც ერთ მშვენიერ დღეს დაუტოვებიათ მთელი მათი ძალაუფლება და ჯვალოში გამოწყობილთ ან მონასტრისთვის მიუშურებიათ, ან მთელი დარჩენილი ცხოვრება მუდმივ პილიგრიმობაში გაუტარებიათ. ჩვენ დღეს ამ „ქეისების“ უკან ეშმაკურ დაფარულ საზრისს ან იძულების ფარულ გამოვლინებას ვეძებთ.

გავა დრო და ჩვენი ცინიკური კულტურა სრულიად განსხვავებული კულტურით შეიცვლება რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მკაცრი და დაუნდობელი, მაგრამ, ამასთანავე, უფრო პირდაპირი იქნება. და სწორედ მათთვის ჩვენი ეპოქიდან შემორჩენილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ამოშალა ერთმა მილიარდერმა „ფორბსის“ ნუსხიდან საკუთარი თავი, რადგან თითქმის მთელი თავისი ქონება საკუთრ ხალხს უანგაროდ დაუტოვა, ისეთივე გასაოცარი და დაუჯერებელი იქნება, როგორც ჩვენთვის ის ძველი თქმულებები ჯვალოში გადაცმულ ძლიერთა ამა ქვეყნისათა შესახებ, რომელთაც მთელი თავისი ძალაუფლება მიატოვეს. მაგრამ ყველაზე უფრო დაუჯერებელი ჩვენ ისტორიაში ის გახლავთ, რომ ეს ორივე ნაბიჯი ერთმა და იგივე ადამიანმა გადადგა.

ᲖᲐᲖᲐ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საკართანო

თემურ ჩალაბაშვილს

შენ კახელი და მე დასავლელი
გადაგვანასკვა წეს-ადათებმაც.
საკართანო გვაქვს ჩვენ დასალევი,
ვინც ამას დალევს, წელს არ დათვრება.

ერთ დღეობაზე მთვრალმა, კრამიტით
ხელში, ზეპირად რომ ვთქვი მე „ოლე“,
სახალხო მგოსნის თვალმარგალიტი
ნაბახუსევზეც გავიმეორე.

სულ ახლახან კი, სიზმრად, გუშინწინ,
ვხედავ: მხეცებით სავსე ოლიმპზე
ლომების გვერდით საკარცხულში ზის
და საკართანოს სვამს ლეონიძე...

მძიმე დილა

მე ზეზე, ჭადრაკის დედოფალო,
ამაგდო მორიგმა მძიმე დილამ.
ნეტავი დღეს იყოს ბედობა, რომ
საჩემოდ ვინატრო იმედი რამ.

პაიკი არა მაქვს გამსვლელი მე,
ყაიმიც მიქრება და მოგებაც.
გულისთქმას ვერაფრით გასმენინებ, -
მებაღის ყურები გამოგება.

* * *

„მე ლექსს ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.
ტიციან ტაბიძე

ზიხარ შენს საწერ მაგიდასთან,
თან ღელვა გარწევს ხომალდივით.
რაღაცას რომ წერ, გაგიტანს და
დაგმარხავს - მეწყრად მოვარდნილი.

გიჟი ქარბუქის პირუეტით
მოდის უწყალო დრო - ზამთარი.
კურთხეული ხარ - მიუერთდი
ცოცხლად დამარხულ მგოსანთა რიგს.

მარიამ-ნანას

გიხსენებ, ალბათ, მეასედ
სიამის მომგვრელ ბებიას,
შენ რომ მხვდებოდი, მე ასე
არავინ მომგებებია.
მინდოდა, რომ სულ მყოლოდა
ბებია - უდასასრულოდ,
მოსე ინჯიას ცოლო და
მარკოზ სურმავას ასულო.

სოსელოს

იცოდი, ნაღდად გაიმარჯვებდი,
მაგრამ ბოლო წამს ველარ გარისკე,
რომ წაგეწია ტაო-კლარჯეთის
დასაბრუნებლად წინ — ანკარისკენ.

რა ცოდვას აღარ მოგამატებდნენ...
მკვდარს დაგიცავდა ისევ ჩერჩილი,
შენ ხომ უსუსურ მოკამათეებს
პირში ყალიონს ველარ შეჩრიდი.

ბევრი ესევა ახლა ტრიბუნებს
მაგრამ ისეთი არა ჩანს ვინმე,
იმ ჩვენს მხარეებს ვინც დაგვიბრუნებს,
ვითარცა მინჩხის დაკარგულ ჰიმნებს.

ვერ დავაძერით მომხვდურებს ეშვი,
ჭირს იმ მიწების შემოერთება,
ჩვენში მტაცებლის მადით და გეშით
ახლაც ვინ აღარ შემოეთრევა.

გადაუარა, როგორც ხარლაღმა,
ჟამმა ყივჩაღებს, სკვითებს, ნაზარებს.
ჩვენ ველოდებით იმ კაცს, ხმამაღლა
რომ დაიძახებს: „აღსდექ, ლაზარე!“

საუბარი ახალგაზრდასთან

იაკობივით გლოცავთ მალხაზებს,
მაგრამ არ მყოფნის იმის ტალანტი,
რომ დაგანახოთ „მეცხრე ტალღაზე“
აბობღებული „გემი „დალანდი“.

ჯემალ ინჯია

ჩვენ ველოდებით იმ კაცს, ხმამაღლა რომ დაიძახებს: „აღსდექ, ლაზარე!“

სხვანაირი აქვს დიდებას გეში,
თავისით მოვა, თქვენ ნუ დაუცდით.
ლუდს უკვდავების „უსიერ ტყეში“
„გველისმჭამელთან“ დალევს „ფაუსტი“.

ყველას პატივი როგორ მივაგო,
უკვდავყოფას ვინც ზიარებია.
ჰკითხეთ, ბიჭებო, „ექიმ ჟივაგოს“,
მსოფლიო სულს რა იარები აქვს.

შხაპით შევცვალოთ, დროა, ზმორება,
ჯიბრიანები მოგვკლას ჯიბრმავე.
უსმენს როდენის „მოაზროვნე“ ბახს,
„ფრესკის ღიმილი“ თვალებს
გვიბრმავებს.

„მატარებელი გამოვიდა მეზობელი სადგურიდან“

მატარებელი მეზობელ სადგურს
გამოსცდა — ბაქნის რადიო წამსვე
გვამცნობდა ამას ლოდინში დანთქმულ
ხალხს ტირილში თუ ქორწილში
წამსვლელს.

ახლა მარტოკა ვდგავარ ბაქანთან
და გზას გავცქერი უკან, მტვერმოყრილს.
ჩემი ვაგონი დაღმა დაქანდა
დასამშვიდებლად ბევრი მტერ-მოყვრის.

ვამაყობ, ნირი რომ ვერ მიცვალა
გაზულუქებულ მგოსანთ ყმუილმა,
ფეხზე მეკიდა ხომ ვერმიცანა,
ვირეშმაკა და ქოსატყუილა.

და, რითაც ჩემი სამყარო შევქმენ,
ოდნავ დავზნიქე წიგნის თარონი.
გამოსულია მენავე, ჩემკენ
მოემართება სტიქსით ქარონი.

რისთვის მოვედი

არა სახლების ასაშენებლად,
არა გვარ-ჯიშის დასამშვენებლად,
არც მოჩხუბართა გასაშველებლად,

არა ვინმესთვის ტაშის დამკვრელად,
არა ყასბურად კაცის დამკვლელად,
არა მესიად, არა გზამკვლევად,

არა ურწმუნოს დასარწმუნებლად,
არა ყამირის დასარწყულებლად,
არც ღვთის შექმნილის დასაწუნებლად,

არა მრჩეველად მშივრებისადმი -
როგორ ეჭამათ და როგორ ესვათ, -
მოვედი, რათა შვილებისათვის
მესწავლებინა სიკეთის თესვა.

ცელქი დღის მოგონება

ააჟუჟუნებს ჟუჟუნა თოლებს,
ნარგიზაც მალე მონარგიზდება.
გაგვხურებია მკერდებში თონე —
დედოფალს ვირჩევთ მონარქისტები.

სადედოფლოებს სახე უღიმით,
უწყინარ ღიმილს არა ვთვლით ნაღმად,
თუმცა ვოჟებში იწევს დუღილის
ტემპერატურა საკმაოდ მაღლა.

მთვარე არის თუ თავის ქალაო
მსტოვარივით რომ ჩამოდგა ქოხთან.
ისმის: „კარგი ხარ, კარგი, ქალაუ“,
„რა დედამ გშობა ეგრეთი კოხტა“...

ახლა მივდივარ დინჯად ძველ ხიდზე,
მხურვალე წლების თონე განელდა.
ამ მოგონებით ერთი ცელქი დღე
ჩამოვახიე სიყრმის კალენდარს.

ელგუჯა მარღიას

აზრით დატვირთულ, ხშირად
ხელთუქმნელ
ლექსებს ათბუნებ რითმების თავშლით.
ნუ დაღონდები, ვიღაც მედუქნეს
თუ არ მოუვა ისინი თვალში.

რობაიებზე ბჭობდნენ ქელეხზე,
ხმას არ ვიღებდი, რადგან ვიცი ეს:
შენებრ ვერ სწვდება ბევრი მელექსე
მარღი ქმედების კოეფიციენტს.

* * *

ბალიშზე გვეყოფა მიძინება! -
ეშმაკებს ქართული დროშა მიაქვთ.
მწერლობა გემივით იძირება,
ბალასტის გადაყრის დრო-ჟამია.

მზევ, შვენის ცას შენი მძიმე დისკო,
ცის მადლით ბევრ მუნდირს
ვაკურთხებდით.
მზევ, ავცდით კეთილი იმედის კონცხს,
მზევ, გვითრევს ბერმუდის სამკუთხედი.

გთხოვ, მაპატიო, მეგობარო

(შოკური თერაპია)

ამაოდ ეძებ ქართველებში
სამარცხვინო შვილს,
ვინც მე ჩამიყრის სასიკვდილო წამალს
ღვინოში.

მაპატიე, რომ სულს არ ვღაფავ, რომ არ
ვლასლასებ,
რომ უარს ვამბობ თამაშიდან უკვე
გასვლაზე.

გთხოვ, მაპატიო სიყვარული, რაც მე
მაწვიეს,
რომ კიდევ ვსვამ და რომ ვისუნთქავ
ჰაერს მიწიერს.

მეგობარი ხარ და შენს წუხილს
ვუზიარდები,
შოკს რომ გგვრის ჩემი: „ასი ლექსი“,
„ლუზიადები“,

ოთახი ჩემი სტუდენტობის დროს
ამსახველი,
შენდა ჭირად რომ მიანიჭეს ჩემი
სახელი.

გთხოვ, ნუ მიხსენებ მშობელს ჩემსას
აუგი სიტყვით,
რომ ჩემი ყოფნით ხელს ვუწყობ შენს
სულიერ სიკვდილს.

შენ, ვისაც გესმის ბატების და
პინგვინებისა,
შოკში ხარ ჩემი სონეტების
გვირგვინებისგან.

შენს სნეულებას სულხან-საბა უსვამს
დიაგნოზს.
შური გჭირს და გკლავს, ჯერ მის
წამალს ვერვინ მიაგნო.

ქ. გორი

ლიეტუვამ საქართველოს სახელწოდება ოფიციალურად დააკანონა

ლიეტუვამ **დააკანონა ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს სახელწოდებად** Sakartvelas-ს **გამოყენება.**

„ამჟამად ოფიციალური სახელწოდებაა საქართველო“, — უთხრა სააგენტო BNS-ს ლიეტუვური ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ აუდრის ანტანაიტისმა.

გასული წლის 21 დეკემბერს, კომისიის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოთა სახელდების დოკუმენტიდან ამოიღეს სიტყვა Gruzija, მის ნაცვლად კი ჩაიწერა Sakartvelas.

„კომისიის მიერ 2 წლის წინ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ქვეყნისთვის მეორე არაოფიციალური სახელწოდების — საქართველოს შემოღებას. საჭირო გახდა გარდამავალი პერიოდი, რათა საზოგადოების მხრიდან ამ სახელის მიღების მზაობა შეგვეფასებინა. ნათელია, რომ ის ძალიან ადვილად დამკვიდრდა საზოგადოებაში. მე 20 წელს ვპროგნოზირებდი და ის კი 2 წელში დამკვიდრდა. ეს ნამდვილად მოულოდნელობა იყო“, — უთხრა ანტანაიტისმა BNS-ს.

„ამდენად, გადავწყვიტეთ, დავასრულოთ პროცესი და საქართველო ხდება ოფიციალური და სრული სახელწოდება“, — მისივე განმარტებით, გადაწყვეტილება „საქმეს გაუადვილებს უწყებებს, რომელთაც აქამდე „Gruzija (Sakartvelas)“-ს წერა უწევდათ“.

ქართულ ენაში ლიტვის ნაცვლად მისი ავთენტური დასახელება, ლიეტუვა 2018 წლის 24 მაისიდან დამკვიდრდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით. ეს საპასუხო, მეგობრული ჟესტი იყო.



ლიეტუვამ საქართველოს ავთენტური დასახელების გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლისთავის აღსანიშნავად.

◎ სეზონის სტარტზე

ტატო გრიგალაშვილი

საიმედო ნაღავლი

ლეგენდარული თანამემამულის დავით სახალეიშვილის ხსოვნას ქართველმა ძიუდოისტებმა ოლიმპიური სეზონის სტარტზე ყატარში გამართულ დოჰას მასტერსზე ბრწყინვალე გამოსვლა მიუძღვნეს – 5 მედალი (2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“).

არაბული ტატამიდან უმაღლესი სინჯის ჯილდოებით დაბრუნდნენ საუკეთესო მონაწილედ მიჩნეული **ტატო გრიგალაშვილი** (81 კგ) და „ჯვაროსანთა“ კაპიტანი **ვარლამ ლიპარტელიანი** (100 კგ), მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ), ხოლო საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) და ლაშა ბექაური (90 კგ) ავიდნენ.

დავძენთ, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენებურებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, მხოლოდ ვაჟებში ლაშა გუჯეჯიანის შეგირდები კი კორეელებს ჩამორჩნენ.

კობა კობახიძე

ვარლამ ლიპარტელიანი

◎ საფრთხე

ცოლი შიშობს

ცურვაში 23-გზის ოლიმპიურ ჩემპიონ მაიკლ ფელპსის ცოლი ნიკოლ ფელპსი ძალიან შეშფოთებულია დიადი ამერიკელი სპორტსმენის ღრმა დეპრესიისა და მისი სუიციდური აზრების გამო. ნიკოლის მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა ლეგენდარულ კალათბურთელ კობი ბრაიანტის დაღუპვის შემდეგ.

„მას შემდეგ, რაც ვანესამ კობი დაკარგა, შევხედე მაიკლს და გავიფიქრე: „შემიძლია რაღაცით დაგეხმარო? შენ რომ დაგკარგო, არ ვიცი, მომავალში რა უნდა გავაკეთო“. მაიკლი საუკეთესო მამა და ქმარია. ადრე ვფიქრობდი, რომ შემეძლო ყველაფრის გამოსწორება, მის თერაპევტად ყოფნა და ყველაფრის ისე გაკეთება, როგორც საჭიროა., მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შეუძლებელია პასუხისმგებლობის აღება იმაზე, თუ რას გრძნობს სხვა ადამიანი.

შვილებს რთულ დღეებში მაიკლის გვერდით ყოფნა სურთ, მათ უნდათ ის ბედნიერი იხილონ, განსაკუთრებით ბუმერს, რომელიც უფროსია, ჩვენ კი ვეუბნებით: „ბუმს, მამას რთული პერიოდი აქვს, მას მარტო ყოფნა სჭირდება“. აუცილებელია ბუმერმა გააცნობიეროს, რომ ამაში არავინაა დამნაშავე“, – განაცხადა ნიკოლ ფელპსმა Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

2020 წლის დეკემბერში 35 წლის ფელპსმა აღიარა, რომ მისი ფსიქიური ჯანმრთელობა დაღს ასვამს ცოლისა და შვილების მდგომარეობას. **„ნიკოლს ვუყვარვარ და ჩემი დახმარების სურვილი აქვს. უნდა, რომ უკეთ გავხდე. მაგრამ ისიც ბრძოლაშია და მასაც სჭირდება დახმარება. ვიცი, როგორ მძიმედ არის ის“,** – ამბობს ყოფილი მოცურავე.

ფელპსი ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია.

მაიკლი და ნიკოლი 2016 წელს დაქორწინდნენ. მათ სამი შვილი ჰყავთ – ოთხი წლის ბუმერი, ორი წლის ბეკეტი და 16 თვის მაველიკი.

გეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი

ლირსეული მონაგარი

მაშინდელი **საბჭოთა საკლუბო საკალათბურთო კლასიკა ცსკა – „ჟალგირისი“ დამოუკიდებლობის ეპოქაში კიდევ უფრო დატვირთული ინტრიგით გრძელდება, ამჯერად – ევროლიგის ეგიდით, სადაც მოქმედი ჩემპიონები არმიელები 15 გამარჯვებითა და 4 დამარცხებით სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერები არიან და დღეს უახლოეს მდევართაგანს – კატალონიურ „ბარსელონას“ უმასპინძლებენ.**

რაც შეეხება ჩრდილოელთა და ბალტიისპირელთა უკანასკნელ პრინციპულ ბრძოლას, რუსულმა გუნდმა შინ 83:73 მოიგო, მისი ქართველი ლეგიონერი **თორნიკე შენგელია** კი პარკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ: 27 წუთში 18 ქულა, 7 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა. მან 9-დან 5 ორქულიანი, 3-დან ერთი სამქულიანი და 5-დან ხუთივე საჯარიმო ჩააგდო.

უკეთესად მეტოქის კალათს მხოლოდ მაიკ ჯეიმსი უტევდა – 21 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დაიმსახურა

იან რაიტს დაუბრუნეს

ლონდონის „არსენალის“ ყოფილმა ფორვარდმა იან რაიტმა „ოქროს ბუცი“ დაიბრუნა. ამ ფეხბურთელის ეს პრიზი და კიდევ რამდენიმე სამახსოვრო ნივთი 2018 წელს უცნობმა ამერიკელმა შვიდ მილიონ გირვანქად შეიძინა.

ახლა კი ბრიტანულმა კომპანია Classic Football Shirts-მა შეძლო კოლექციის ამ ნაწილის გამოსყიდვა და ის 57 წლის რაიტს დაუბრუნა.

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ისევ ვიხილავდი ამ ყველაფერს. ეს შესანიშნავია. აღარაფერი მქონდა დარჩენილი, ყველაფერი გაქრა. როცა ჩემს „ოქროს ბუცს“ ჩემს ქალიშვილებს ვაჩვენებ, ისინი იკითხავენ: „ეს ნამდვილი ოქროა?“ – აღნიშნა რაიტმა.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის პრიზი „ოქროს ბუცი“ 1992 წელს მოიგო.

გიორგი შოთაძე

◎ ფაქტი

შტურმის მონაწილე

ცნობილი **ამერიკელი მოცურავე, ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი კლინტ კელერი, სავარაუდოდ, კაპიტოლიუმის შტურმში მონაწილეობდა.**

ამერიკულმა პრესამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ შტურმის მონაწილეებს შორის ჩანს მამაკაცი ქურთუკში აშშ-ის ოლიპიური ნაკრების სიმბოლიკით. მოგვიანებით ჟურნალმა Swimming World-მა დაადასტურა, რომ კელერი კაპიტოლიუმში იმყოფებოდა. სოციალურ ქსელში მოხვდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ჩანს კლინტი, თუმცა, მის მოქმედებებში არ შეიმჩნევა აგრესია და ის არ მონაწილეობს ძალადობის აქტებში.

შეგახსენებთ, რომ კაპიტოლიუმზე ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მომხრეთა შტურმისას ხუთი ადამიანი, მათ შორის პოლიციელი დაიღუპა, ხოლო თითქმის 100 დააპატიმრეს. კელერის გვარი დაპატიმრებულთა შორის არ ფიგურიგებს.

კლინტ კელერს აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში 2000, 2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე ორი ოლიმპიური ოქრო აქვს მოპოვებული თავისუფალი სტილით 4X200 მეტრზე ესტაფეტაში.

მანუჩარ გიორგაძე

მადლობას ვუხდი ყველას, რომ ახლა ჩემი შვილი ცოცხალია!

ჩვენი მცირეწლოვანი შვილი თავს შეუძლოდ გრძნობდა. მე და ჩემმა მეუღლემ რომ შევატყვეთ, მდგომარეობა უარესდებოდა, ჩვენივე ავტომობილით, ჩემი სახლიდან, ახალშენიდან ბათუმში, საავადმყოფოში გადაყვანა გადავწყვიტეთ. გზაში ჩვენი შვილი კიდევ უფრო ცუდად გახდა, გონებას კარგავდა. აღარ ვიცოდით, რა გვექნა. გავჩერდით, გზა ვეღარ გავაგრძელეთ, ვცდილობდით, როგორმე დავხმარებოდით. 2 წლის შვილი მეჭირა ხელში, უგონოდ იყო. უცებ, პატრულის მანქანა დავინახე, გავაჩერე და დახმარება ვთხოვე, ავუხსენი მდგომარეობა. ეკიპაჟის წევრებმა ჩემი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს და დაუყოვნებლივ დაგვეხმარნენ - საბედნიეროდ, ძალიან დროულად მიგვიყვანეს საავადმყოფოში. მადლობას ვუხდი ყველას, რომ ახლა ჩემი შვილი ცოცხალია“.

თენგიზ მიქელაძე,
ბათუმიდან

ვაქცინაცია ერთობ რთული პროცესია!

„ფაიზერის“ ვაქცინის რა დოზის მისაღებადაა მზად ამ დროისთვის საქართველო

ძვეყანას დღეს გააჩნია „ფაიზერის“ ვაქცინის 200 ათასი დოზის მიღების შესაძლებლობა, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, პაატა იმნაძემ განაცხადა. იმნაძემ თენგიზ ცერცვაძის იმ განცხადების შესახებ დასმულ შეკითხვას უპასუხა, რომლის მიხედვითაც, მინუს 80-გრადუსიანი მაცივრების პრობლემის გამო, საქართველოს „ფაიზერის“ ვაქცინის მილიონიანი დოზის შეძენა არ შეუძლია.

როგორც პაატა იმნაძე აცხადებს, ვაქცინის შეძენა „კოვაქს“ პლატფორმის გარდა, შესაძლებელია მწარმოებლებთან პირდაპირი მოლაპარაკების გზითაც.

„ქვეყანას ამ წუთში გააჩნია „ფაიზერის“ ვაქცინის 200 ათასი დოზის მიღების შესაძლებლობა. ქვეყანა იყიდის „კოვაქსის“ პლატფორმიდან, წინასწარი შენატანი გადახდილია.

ქვეყანა ასევე მზად არის, თუ ვინმე პირდაპირ მოგვაწვდის ამ ვაცინას, ვიყიდოთ პირდაპირ მწარმოებლისგან. „კოვაქსის“ ალტერნატიული ბაზარი არის პირდაპირი მოლაპარაკებები მწარმოებლებთან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეუძლებელია პირდაპირ ამ ვაქცინების მიღება“, — აცხადებს იმნაძე.

ჯანდაცვის მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ** თემის კომენტირებისას აღნიშნა, მთავრობას „კოვაქს“ პლატფორმიდან დაუდასტურეს, რომ ისინი მზად არიან, საქართველოს სამედიცინო პერსონალისთვის ვაქცინა მიაწოდონ.

მისი თქმით, ამ ეტაპისთვის ქვეყანა მიიღებს „ფაიზერის“ ვაქცინას, თუმცა ეს იმას არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში მას სხვა ვაქცინაც დაემატოს.

„გვაქვს მოლოდინი, რომ „ასტრაზენეკაზე“ მისაწვდომობაც გაუჩნდებათ ჩვენს მოქალაქეებს. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს „ფაიზერის“ ვაქცინა თუ რომელიმე სხვა, ყველა ვაქცინაციას ესაჭიროება თავისი ეტაპობრიობა და ასევე, გარკვეული პროპორციული შემოტანა ქვეყანაში. ამას აკეთებს არა მხოლოდ საქართველო, არამედ სხვა ქვეყნებიც, ვინაიდან ვაქცინაციის პროცესი არის საკმაოდ რთული პროცესი და მხოლოდ „ცივი ჯაჭვის“ არსებობა არ განაპირობებს, თუ რა მოცულობის ვაქცინების შემოტანა იქნება შესაძლებელი საქართველოში. ჩვენ გეგმაზომიერად ვმუშაობთ და აქედან გამომდინარე, როგორც სხვა კომპონენტებში არ გვქონია არანაირი გართულება, ამ კომპონენტში ჩვენს მოსახლეობას ექნება სრული ხელმისაწვდომობა ყველა იმ რაოდენობაზე, რა მოცულობის შესყიდვის საშუალებაც იქნება მსოფლიო ბაზარზე. შეფერხება საქართველოში არსებული ან არარსებული პირობების გამო მოსახლეობას არ ექნება,“ — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში 100 ათასი მედიკოსი არ გვყავს — აქედან გამომდინარე, შემოტანილი ვაქცინა პროპორციულად იმ რისკ ჯგუფებზე განაწილდება, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან იქნება შეთანხმებული: **„ვაქცინაციასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს გაიდლაინები და პრიორიტეტები. ამას ყველა ქვეყანა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან ათანხმებს. განსაზღვრულია რისკ-ჯგუფები და მოწყვლადი ჯგუფები. პირველ რიგში, ყველა ქვეყანა სტრატეგიულად გეგმავს, რომ არ დაინფიცირდნენ მედიკოსები, რათა მათ დაინფიცირებული პაციენტების მოვლა და მკურნალობა შეძლონ. პრიორიტეტში ყველა ვარიანტში მედიკოსები არიან. მედიკოსების ვაქცინაცია მნიშვნელოვნად ზრდის ვაქცინაციის სანდოობას მოსახლეობაში. შემდგომი ისეთი მოწყვლადი ჯგუფებია, როგორიცაა ქრონიკული დაავადებების მატარებელი პირები და ასევე პენსიონერები. ჩვენ ამ პროცესს გეგმაზომიერად მივყვებით“.**

სანთელი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს კავშირის წევრს, ბატონ ოთარ ყიფიანს მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის, წარმატებული მძღოლის, ევროპის ჩემპიონის და ბრწყინვალე ექიმის

ვარდო ქუთათელაძე-ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

არავის აქვს უფლება, ჩრდილი მიაყენოს ჩვენს შემწყნარებლობასა და ტოლერანტობას!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლება რელიგიური მსახურებისა და რიტუალების ჩატარება მოქალაქეების უფლებაა და მათ ვერავინ შეუზღუდავს ამ უფლებას.

„მინდა გამოვეხმაურო გურიაში ჩვენს მუსლიმ და ქრისტიან თანამემამულეებს შორის მომხდარ დაპირისპირებას. ეს სამწუხარო ფაქტია და იმედი მაქვს, რომ ვითარება უახლოეს დროში განიმუხტება.

საქართველო ყოველთვის ამაყობდა თავისი რელიგიური მრავალფეროვნებით. ეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა, მისი სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველი, რომელსაც ყოველთვის ვუფრთხილდებოდით. ჩვენს მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლება. რელიგიური მსახურებისა და რიტუალების ჩატარება ჩვენი მოქალაქეების უფლებაა და მათ ვერავინ შეუზღუდავს ამ უფლებას.

მომხდარი დაპირისპირება ერთეულ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ არავის აქვს უფლება ჩრდილი მიაყენოს ჩვენს ისტორიულ მონაპოვარს, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოში რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობა, სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქეთა ერთობა და ღირსეული თანაცხოვრება, შემწყნარებლობა და ტოლერანტობა“.

ბუკნარში ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის კონფლიქტი მოგვარებულია!

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის, ზურაბ ნასარაიას განცხადებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში ქრისტიანებს და მუსლიმ თემს შორის კონფლიქტი უკვე მოგვარებულია და ნებისმიერ პროვოკაციულ ქმედებას სამართალდამცავები შესაბამისად უპასუხებენ.

„ბუკნარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გუშინ არაერთი შეხვედრა გაიმართა, როგორც ერთ მხარესთან, ისე მეორესთან. ჩვენ გუშინ შევეცადეთ, მაქსიმალურად დაგვემშვიდებინა შეკრებილი მოსახლეობა, თუმცა იქ იყვნენ აგრესიულად განწყობილი ადამიანები, რომლებმაც არ მისცეს ამის საშუალება. ამის შემდეგ მე პირადად ვიყავი იმ სამლოცველოში, სადაც ტარდება ლოცვები. შევხვდი როგორც მუფტს, ასევე ადგილობრივ წინამძღვრებს. საღამოს გაიმართა ერთობლივი შეხვედრა, როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმ მოსახლეობასთან და მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ არანაირი პრობლემა არ შეექმნება და არც ჰქონია მუსლიმ მოსახლეობას, რომელიც ლოცულობდა სოფელ ბუკნარში. ყველა იმ ადამიანის ქმედებაზე, ვინც შეეცდება ამ თემის პროვოცირებას ან მოსახლეობის გაღიზიანებას, იქნება შესაბამისი რეაგირება.

გუშინ ვიხილეთ როგორც მართლმადიდებელი, ასევე მუსლიმი სასულიერო პირების მოწოდებები. მათ მოუწოდეს თავიანთ მრევლს, იცხოვრონ მშვიდად, აღადგინონ ის ურთიერთობა, რაც წლების განმავლობაში ჰქონდათ. ჩვენ მზად ვართ, ყოველთვის შევხვდეთ მოსახლეობას, მაქსიმალური მხარდაჭერა აღვუთქვათ თითოეულ მოქალაქეს და დავიცვათ მათი უფლებები“, — განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

გუდაური-კობის საბაგირო გაჩერებულია

„მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ინფორმაციით, ძლიერი ქარის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება მგზავრთა გადაყვანისთვის განკუთვნილი გუდაური-კობის დამაკავშირებელი საბაგიროების ჩართვა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, მიზეზი უამინდობა და ძლიერი ქარია, რა დროსაც დაუშვებელია საბაგიროს ამოქმედება.

ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სათხილამურო კურორტი გუდაურიც.

„მხოლოდ მგზავრთა ტრანსპორტირების მიზნით, საბაგიროები ჩაირთვება მეტეოროლოგიური პირობების გაუმჯობესებისთანავე, რის შესახებაც შეგატყობინებთ ერთი საათით ადრე, „ფეისბუქის“ გვერდის საშუალებით“, — ნათქვამია სათხილამურო კურორტ გუდაურის განცხადებაში.

ქართული თეატრის დღე

14 იანვარს ქართული თეატრის დღეა. ამ თარიღის აღნიშვნა 1850 წლის 14 იანვარს გიორგი ერისთავის პირველ წარმოდგენას, „გაყრას“ უკავშირდება.

რეჟისორისა და დრამატურგის მიერ თბილისში ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული თეატრი, ცარიზმის ინტერესებთან კონფლიქტის გამო, 1856 წელს დაიხურა და წლების შემდეგ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით აღდგა.

ქართული თეატრის დღე მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება.

* * *

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მიხეილ ჩხენკელი:

„მთელი გულით ვულოცავ ქართული თეატრის მოღვაწეებს პროფესიულ დღეს! ვუსურვებ შემოქმედებით წინსვლასა და წარმატებებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული თეატრის ისტორია სათავეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე შორეულ წარსულში იღებს. უფლისციხეში შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა ცხადჰყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ-სანახაობით კულტურას.

ისტორიის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში თეატრალურ-სანახაობით კულტურას არ შეუწყვეტია განვითარება. მართლაც საამაყოა, რომ საქართველოში თეატრის ისტორია საუკუნეებს ითვლის, მას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში.

1881 წელს, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ვასო აბაშიძემ, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა დააარსეს საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რომლის პირველ თავმჯდომარედ თავად ილია აირჩიეს. მოგეხსენებათ, რომ თეატრის როლი უდიდესია თანამედროვე და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.

დღეს, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ქვეყნის კულტურული ცხოვრება სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. 2020 წელი ქართული თეატრისთვის რთული აღმოჩნდა. მიუხედავად ყველაფრისა, ერთობლივი ძალისხმევით, შევძელით ქვეყანაში კულტურული ცხოვრების შენარჩუნება. ქართული თეატრი ინოვაციურად მიუდგა სპექტაკლების მაყურებლამდე მიტანას და ისინი ვირტუალურ და ღია სივრცეებში გადაიტანა. ამ პერიოდში დაიდგა 50-მდე ახალი სპექტაკლი, ჩატარდა ყველა ტრადიციული ფესტივალი. უფრო მეტიც, სამინისტროს მხარდაჭერით, შეიქმნა ახალი „ციფრული თეატრის ფესტივალი“, სადაც უმნიშვნელოვანესი იყო ახალგაზრდა შემოქმედთა ჩართულობა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი გუნდი ყოველთვის იდგება ქართული თეატრის გვერდით და მხარს დაუჭერს თეატრალური ცხოვრების განვითარებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ ქართული თეატრის დღეს, გისურვებთ მეტ პრემიერას, ფესტივალებს, ბევრ მაყურებელსა და გულწრფელ აპლოდისმენტებს“, — ნათქვამია ჩხენკელის მილოცვაში.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ვარსკვლავი ცნობილ ტელეწამყვანს



საქართველოს პირველი არხი ცნობილ ტელეწამყვანს, დავით სოკოლოვს ვარსკვლავს გაუხსნის. დავით სოკოლოვის ვარსკვლავი მთაწმინდის პარკში, თბილისის ტელეანძის მიმდებარედ გაიხსნება.

საქართველოს ტელევიზიის დაარსების პირველივე წლებიდან დავით სოკოლოვი საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“, ასევე არაერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის წამყვანად ათეულობით წლის განმავლობაში მუშაობდა, ტელევიზიის პარალელურად კი, რადიოშიც აგრძელებდა მოღვაწეობას.

საქართველოს პირველმა არხმა მთაწმინდის პარკში სახელობითი ვარსკვლავები უკვე გაუხსნა ცნობილ ტელესახეებს: **ალექსანდრა მაჭავარიანს, ლია მიქაძეს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ჟანეტა არჩვაძეს, ნუგზარ ჯუღელსა** და **თენგიზ ნათაძეს.**

აქტივისტი საფოსტო მარკაზე

შვედი გარემოსდაცვითი აქტივისტი გრეტა თუნბერგი საფოსტო მარკაზე გამოსახეს, რომელიც მის სამშობლოში უკვე გამოვიდა გაყიდვაში.

საფოსტო მარკა გრეტა თუნბერგის გამოსახულებით ნაწილია სერიული საფოსტო მარკებისა, რომელიც კლიმატის საკითხს ეხება. სერიული საფოსტო მარკების თემაა „ძვირფასი ბუნება“.

საფოსტო მარკაზე გამოსახული გრეტა თუნბერგი შემაღლებულ ბორცვზე დგას და ყვითელი საწვიმარი ლაბადა აცვია.

ილუსტრაცია შვედ მხატვარს ჰენინგ ტროლბეკს ეკუთვნის. საფოსტო მარკა 12 შვედური კრონა (1.4 დოლარი) ეღირება.

გრეტა თუნბერგმა, რომელიც ახლახან გახდა 18 წლის, სახელი გარემოსდაცვითი აქტივიზმით გაითქვა.

2019 წელს გრეტა თუნბერგი გამოცემა TIME-მა წლის ადამიანად დაასახელა.

თეთრ ცხენზე ამხედრებული შამანი

იაკუტიის მცხოვრები ალექსანდრ გაბიშევი, რომელიც საკუთარ თავს შამან-მეომარს უწოდებს, მოსკოვზე ახალ ლაშქრობას გეგმავს.

ლაშქრობა 2021 წლის მარტში იგეგმება და იაკუტსკიდან დაიწყება. ირკუტსკში შამანს მოხალისეთა რაზმი შეუერთდება. გაბიშევი თეთრ ცხენზე ამხედრებული აპირებს გადაადგილებას, მისი მხარდამჭერები კი ამისთვის ავტომობილებს გამოიყენებენ.

ლაშქრობის მიზნის შესახებ გაბიშევს არაფერი უთქვამს.

გაბიშევმა ვლადიმერ პუტინის განსადევნად მოსკოვში მოგზაურობა 2019 წლის ივლისში დაიწყო. მას მიაჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტი „ბნელი ძალების პირმშოა“ და მასთან გამკლავება მხოლოდ შამანს შეუძლია.

რამდენიმე თვეში ის იაკუტიის ფედერალურ ტრასაზე 10 დეკემბერს დაიკავეს. მისი ადვოკატი ამტკიცებდა, რომ გაბიშევის წინააღმდეგ საქმე პოლიციელზე ძალადობის გამო აღიძრა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ შამანი 1000 რუბლით პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის გამო დააჯარიმეს.

შემდეგ გაბიშევი იაკუტიის რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში მოათავსეს. სამედიცინო შემოწმების ჩატარების შემდეგ შამანი გაათავისუფლეს და შეურაცხადად ცნეს, თუმცა მოგვიანებით დამოუკიდებელმა ექსპერტებმა გაბიშევის ქცევაში აგრესიის ნიშნები ვერ შეამჩნიეს და მისი იძულებითი მკურნალობა აუცილებლად არ ჩათვალეს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2909; ევრო - 4.0077;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5010;
100 რუბლი - 4.4545; თურქული ლირა - 0.4420;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9373;
1000 სომხური დრამი - 6.2893.

ამინდი 15 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge